E 133
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 1961 წ.

2484

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ზომების შესახებ.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიების მიცემის მოწესრიგების შესახებ.
3. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ
5. 1961 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სიმინდის მწიფე მარცვლის მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაციისა და სოფლის მეურნეობაში მშენებლობის რესპუბლიკური გაერთიანების („საქსოფლტექნიკის“) შექმნის შესახებ.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

7. მოძრაობის უსაშიშრობის, ავტომობილების გამოყენების წესების უხეში დარღვევის ფაქტებისა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ.
8. გ 1—10 უნიფიცირებული სერიის ერთსართულიანი და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების საპროექტო დავალებათა დამტკიცების შესახებ.
9. საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ.
10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტის სახელწოდების შეცვლის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
12. „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საქართველოს პროფსაბჭოსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 აპრილის № 234 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე.
13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტების შესახებ.
14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 დეკემბრის № 1286 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
15. აგარაკების ინდივიდუალური მშენებლობის შესახებ.
16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 31 დეკემბრის № 1336 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
17. იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები.
18. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-6 მუხლის დამატების შესახებ.
19. საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების განთავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და შემკვეთების მიერ საექსპლოატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**1** საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომი განმტკიცების ზომების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 იანვრის № 24 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ყოველმხრივ გადიდების წახალისების მიზნით, მიენიჭოთ კოლმეურნეობებს 1961 — 1965 წლებისათვის საშემოსავლო გადასახადის შეღავათი, ამასთან განთავისუფლებულ იქნან ისინი ყველა სახის ხორცის, ცოცხალი პირუტყვის, ფრინველის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებული დასაბეგრი შემოსავლის (საერთო ამონაგები ფულადი და საწარმოო დანახარჯების გამოკლებით) 80 პროცენტის დაბეგვრისაგან. აღნიშნული შეღავათი მიენიჭოთ კოლმეურნეობებს 1960 წლის იმ შემოსავლიდან დაწყებული, რომელიც დაბეგრილ უნდა იქნას 1961 წელს.

დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაიყვანონ რაიონებამდე, ხოლო რაიალმასკომებმა — თვითეულ კოლმეურნეობამდე შესაბამისი მითითებანი კოლმეურნეობებისათვის საშემოსავლო გადასახადის დარგში მინიჭებული ამ შეღავათების შეფარდების წესის შესახებ.

2. შემცირდეს 1961 წლის 1 თებერვლიდან მოქმედი ფასები იმ ტრაქტორების, სატვირთო ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა, რომლებიც მიეყიდება კოლმეურნეობებს და სხვა მომხმარებლებს, საშუალოდ 40 პროცენტით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავმანქანვაჭრობამ მიმდინარე წლის 30 იანვრამდე მისცეს საჭირო მითითებანი ამ საკითხზე თავის ადგილობრივ ორგანოებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1961 წლის 1 თებერვლიდან შემცირებულია მოქმედი ფასები სატვირთო ავტომობილებისა საშუალოდ 17 პროცენტით, ტრაქტორებისა — 9 პროცენტით და სასოფლო-

სამეურნეო მანქანებისა — 4,3 პროცენტით, დაევალოს მთავმანქანე-ვაჭრობას მიმდინარე წლის 30 იანვრამდე მიიღოს და დაუგზავნოს ადგილებს აღნიშნული მანქანებისა და მოწყობილობის ახალი პრეისკურანტები.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 30 იანვრამდე დაამტკიცოს ტრაქტორების, კომბაინების, სატვირთო ავტომობილებისა და სხვა მანქანების რემონტის ახალი შეფასებანი.

დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შემოიღონ მანქანების რემონტის ზემოაღნიშნული შეფასებანი 1961 წლის 1 თებერვლიდან.

4. 1961 წლის 1 თებერვლიდან ბენზინის მოქმედი საცალო ფასების საშუალოდ 40 პროცენტით შემცირებასთან დაკავშირებით, დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს და ნავთობმარაგგასაღების სამმართველოს უფროსს ამხ. ქურთიშვილს უზრუნველყონ ბენზინის საცალო ფასების ახალი პრეისკურანტების მიღება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან მარკებისა და ზონების მიხედვით და ბენზინის გაცემა 1961 წლის 1 თებერვლიდან აწარმოონ ამ პრეისკურანტით.

5. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო აღმასკომებს და რაიაღმასკომებს განიხილონ საკითხი, რომ განევადოთ კოლმეურნეობებს მათ მიერ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეძენილი ტექნიკის, სადგომებისა და მოწყობილობის გადასახდელები 5-დან 10 წლამდე, თვითეული კოლმეურნეობის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით, და თავისი გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე ათი დღის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს, რომლებიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, განევადათ სახელმწიფო ბანკის დავალიანება გრძელვადიანი სესხისა — 0,7 მილიონი მანეთის ოდენობით და მოკლევადიანი სესხისა — 2 მილიონი მანეთის ოდენობით, დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ათი დღის ვადაში წარმოუდგინონ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად იმ კოლმეურნეობათა სია, რომლებსაც განევადათ სახელმწიფო ბანკის ზემოაღნიშნულ სესხთა გადასახდელების შეტანა.

მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ აღნიშნულ სესხთა დაფარვის ვადები დაწესებულია ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1963 წლიდან.

7. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 იანვრის № 24 დადგენილებით:

ა) შემცირებულია კოლმეურნეობათა და საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებათა ოპერაციების პროცენტული განაკვეთები და დაწესებულია ისინი შემდეგი ოდენობით (წლიური პროცენტობით): გრძელვადიანი სესხებისათვის — 0,75 პროცენტი, მოკლევადიანი სესხებისათვის — 1 პროცენტი, ვადაგასული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებისათვის — 3 პროცენტი, მიმდინარე ანგარიშებისა და განუყოფელი ფონდების ანგარიშებისათვის, აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების საანგარიშსწორებო ანგარიშებისათვის — 0,5 პროცენტი;

ბ) ნება დაერთო სახელმწიფო ბანკს აძლიოს კოლმეურნეობებს კოლმეურნეობათა იმ საწარმოო დანახარჯების დამატებით რომელთა დაკრედიტება ამჟამად ხდება, იმ შემთხვევაში, თუ მათ არ გააჩნიათ საკმაო საკუთარი სახსრები, მოკლევადიანი სესხი იმისათვის, რომ შეიძინონ მინერალური სასუქები, მრავალწლიან ბალახთა თესლი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის გამოსაზრდელად და გასასუქებლად 2 წლამდე ვადით, კირიანი მასალები ეწერი ნიადაგების გასაკირიანებლად, თაბაშირი ბიცობი ნიადაგების დასათაბაშირებლად, და ტორფი გასანოყიერებლად და საფენად.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას უზრუნველყოს კოლმეურნეობათა შეუფერხებელი დაკრედიტება ზემოაღნიშნული საწარმოო დანახარჯებისათვის;

გ) დამტკიცებულია იმ ღონისძიებათა ნუსხა, რომლებისთვისაც სახელმწიფო აძლევს კოლმეურნეობებს გრძელვადიან კრედიტს და მისი დაფარვის ვადები, № 1 დანართის თანახმად;

დ) დადგენილია წესი, რომლის დროსაც დამამზადებელი ორგანიზაციები კოლმეურნეობებს მათგან შესყიდული სასოფლო-სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეო პროდუქციისათვის ანგარიშს გაუსწორებენ უნაღდო გადახდის წესით სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა მეშვეობით.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები შესაბამისად სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების შემოსავალ-გასავლის ბალანსებში და ადგილობრივ ბიუჯეტებთან რესპუბლიკური ბიუჯეტის ურთიერთ ანგარიშსწორებაში იმ თანხების ფარგლებში, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ ბიუჯეტთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთ ანგარიშსწორებით.

* * *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დიდი ფინანსური დახმარება გაეწია კოლმეურნეობებს და ამით შეიქმნა საჭირო პირობები კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ყველა ადგილობრივმა საბჭოთა ორგანიზაციამ ფართოდ უნდა განუმარტონ კოლმეურნეებს საბჭოთა სახელმწიფოს ამ დახმარების სერიოზული მნიშვნელობა, გამოიყენონ იგი, როგორც დიდმნიშვნელოვანი სტიმული კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ამაღლებისა იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება შრომითი და მატერიალური რესურსების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით.

დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას:

ა) მკაცრი კონტროლი გაუწიონ თვითეული კოლმეურნეობის მიერ საფინანსო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ კოლმეურნეობებმა დროზე გაუსწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ ანგარიში კოლმეურნეებს, ბიუჯეტს, სახელმწიფო მიმწოდებლებს;

ბ) კოლმეურნეობათა 1961 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობებში არსებული რეზერვების გამოვლინებას და სრულად გამოყენებას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისა და მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდისათვის;

გ) დასახონ და განახორციელონ თვითეული კოლმეურნეობის მიხედვით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსური მდგომარეობის შემდგომ განმტკიცებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, უსასტიკესი მომჭირნეობის დაცვას ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვაში;

დ) დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს შემოსავლის სწორად განაწილებაში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ კოლმეურნეობებში განუყოფელი ფონდების ზრდასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნას საკუთარი საბრუნავი სახსრების შექმნა უახლოეს წლებში კოლმეურნეობათა ნორმალური საწარმოო საქმიანობისათვის.

ვინაიდან საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამოცდილების განზოგადების საფუძველზე შეიმუშაოს და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს განსახილველად თავისი წინადადებანი ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდისათვის კოლმეურნეობათა წახალისების წესის შესახებ.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1961 წ. 26 იანვარი, № 42

საქართველოს კპ ცკ-ისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 26 იანვრის № 42
დადგენილების დანართი

## ს ი ა

### ღონისძიებებისა, რომლებისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი კოლმეურნეობებს აძლევს გრძელვადიან კრედიტს

| ღონისძიებანი | სესხთა დაფარვის ზღვრული ვადები | დაფარვის დასაწყისი (რომელი წლიდან სესხის გაცემის შემდეგ) |
|---|---|---|
| 1. მეცხოველეობის შენობებისა და ნაგებობების, საშენ მასალათა დასამზადებელი საწარმოების, ტრაქტორების, ფლოტის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა შემკეთებელი სახელოსნოების, კვალსათბურებისა და სათბურების, მეფრინველეობის ფაბრიკების, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საცავებისა და საშრობების მშენებლობა, გაწყობა და მექანიზაცია, ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია, ტელეფონიზაცია, გაზიფიკაცია, საირგაციო, სამელიორაციო მშენებლობა, გუბურების, წყალსატევების, ჭების, წყალსადენების და სხვა შენობებისა და ნაგებობათა მშენებლობა (გარდა ადმინისტრაციული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობებისა) | 15 წლამდე | მეოთხე წლიდან |
| 2. კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის, გარეული ხილის, კენკრისა და სოკოს გადამმუშავებელი საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო პუნქტების, საკონსერვო და მეღვინეობის ქარხნების, ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის საცავების მშენებლობა | 3 წლამდე | მეორე წლიდან |
| 3. წილობრივი მონაწილეობა საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მშენებლობაში: | | |

| ღონისძიებანი | სესხთა დაფარვის ზღვრული ვადები | დაფარვის [illegible] (რომელი წლიდან სესხის გაცემის შემდეგ) |
|---|---|---|
| ა) საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების, სარწყავი და სამელიორაციო ნაგებობების, საშენ მასალათა დამამზადებელი საწარმოების, მეფრინველეობის ფაბრიკების, პირუტყვის გასასუქებელი პუნქტების და სხვა ნაგებობების, საწარმოო დანიშნულების საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობისათვის | 15 წლამდე | მეოთხე წლიდან |
| ბ) სამშენებლო მექანიზმების, მოძრავი ელექტროსადგურების შეძენისათვის | 5 წლამდე | მეორე წლიდან |
| 4. ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სატვირთო ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეძენა | 5 წლამდე | მეორე წლიდან |
| 5. მშენებლობა და შესყიდვა ახალი გემებისა და მექანიზმების თევზჭერისათვის, ბუქსირებისა და კარჭაპებისა. მოტორიანი ნავებისა სატრანსპორტო მიზნებისათვის | 7 წლამდე | მეორე წლიდან |
| 6. თევზჭერის იარაღების შესყიდვა (გაცვეთის ერთ წელზე მეტი ხნის ვადით) | 3 წლამდე | მეორე წლიდან |
| 7. მრავალწლიანი ნარგავების გაშენება: | | |
| ა) ბაღებისა, ვენახებისა, სუბტროპიკული კულტურებისა, ტყის ზოლებისა | 10 წლამდე | მეხუთე წლიდან |
| ბ) საკენკრეებისა, სვიისა, თუთის ხეებისა, წამლეული და ეთერზეთოვანი კულტურებისა, ვენახების და სასვიეების გაწყობა შპალერებით | 6 წლამდე | მესამე წლიდან |
| ბ) კვლიავისა და სალბისა | 3 წლამდე | მეორე წლიდან |
| 8. სანერგეების გაშენება მრავალწლიანი ნარგავებისათვის | 3 წლამდე | მეორე წლიდან |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ღონისძიებანი | სესხთა დაფარვის ზღვრული ვადები | დაფარვის დასაწყისი (რომელი წლიდან სესხის გაცემის შემდეგ) |
|---|---|---|
| 9. ახალი მიწების ათვისება, მდელოების და საძოვრების გაუმჯობესება, ტორფის და კირქვის საბადოების მომზადება ტორფისა და კირის მოპოვებისათვის | 6 წლამდე | მესამე წლიდან |
| 10. შესყიდვა: | | |
| ა) ჯიშიანი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა, ჯიშიანი ცხენებისა და ირმებისა | 6 წლამდე | მესამე წლიდან |
| ბ) ჯიშიანი ცხვრისა და ღორისა, ბეწვიანი ნადირისა, ფუტკრის ოჯახებისა და სკებისა | 3 წლამდე | მეორე წლიდან |
| 11. მშენებლობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა, ინტერნატებისა სკოლებთან, სასწავლო სახელოსნოებისა და სკოლა-ინტერნატებისა კოლმეურნეობებში (კრედიტი გაიცემა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით) | 3 წლამდე | მეორე წლიდან |
| 12. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების, გზებისა და ხიდების მშენებლობა, გადასასვლელებისა და კაშხალების მოწყობა (კრედიტი მიეცემა ჩასახლების ადგილების კოლმეურნეობებს რომლებმაც გადასახლებულები მიიღეს, და გადასახლებულთაგან ახლად შექმნილ კოლმეურნეობებს 3 წლის განმავლობაში დღიდან ჩასახლებისა ან მოწყობისა | 10 წლამდე | მესამე წლიდან |

## 2 საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიების მიცემის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 31 მარტის № 370 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

შემცირდეს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის წინათ დაწესებული სახელობითი სტიპენდიების საერთო რაოდენობა და განისაზღვროს ეს სტიპენდიები დანართით გათვალისწინებული რაოდენობით.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1961 წ. 26 იანვარი, № 52

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 26 იანვრის № 52
დადგენილების დანართი

# ს ი ა

## საქართველოს გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა სახელობის სტიპენდიებისა, რაც უწესდებათ საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს

| სტიპენდიები | | რაოდენობა | სტიპენდიის ოდენობა (მანეთობ.) |
|---|---|---|---|
| რუსთაველის | სახელობის | 3 | 55 |
| ბარათაშვილის | " | 2 | 50 |
| ჭავჭავაძის | " | 2 | 50 |
| წერეთლის | " | 2 | 50 |
| გოგებაშვილის | " | 2 | 50 |
| ყაზბეგის | " | 2 | 50 |
| ი. ჯავახიშვილის | " | 2 | 50 |
| ჯანაშიას | " | 1 | 50 |
| ხეთაგუროვის | " | 1 | 50 |
| მახარაძის | " | 2 | 50 |
| ფალიაშვილის | " | 2 | 50 |
| მარჯანიშვილის | " | 2 | 50 |
| ერისთავის | " | 2 | 50 |
| მელიქიშვილის | " | 2 | 50 |
| უზნაძის | " | 1 | 50 |
| რაზმაძის | " | 2 | 50 |
| თარხნიშვილის | " | 1 | 50 |
| ინაშვილის | " | 1 | 50 |
| ვედევანიშვილის | " | 2 | 50 |
| მუხაძის | " | 1 | 50 |
| ალადაშვილის | " | 1 | 50 |
| წინამძღვრიშვილის | " | 1 | 50 |
| ი. ნიკოლაძის | " | 2 | 50 |
| ვ. ვორონინის | " | 2 | 50 |
| ვაჟა ფშაველას | " | 2 | 50 |
| ს უ ლ | | 43 | |

## 3 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 იანვრის № 60 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საბჭოთა მეურნეობების ყველა დირექტორსა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს დაუყოვნებლივ განიხილონ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით, თუ როგორ არიან ისინი უზრუნველყოფილი საგაზაფხულო კულტურების თესლით, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა თესლის ასაყვანად სათეს კონდიციებამდე და მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის თესლით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე თესვის დაწყებამდე დაამთავრონ ყველგან თესლის მომზადება დასათესად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წ. 31 იანვარი, № 45

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 60

1961 წლის 20 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

### კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დამკვიდრდა სახელმწიფო რესურსებიდან ყოველწლიურად თესლის სესხების ან თესლის შესყიდვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა, მაშინ როდესაც დადგენილი წესის შესაბამისად თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას საჭირო რაოდენობით უნდა ჰქონდეს საკუთარი ვარგისი და ხარისხიანი თესლი. საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების დათესვა არადარაიონებული ჯიშების თესლითა და უვარგისი თესლით იწვევს მოსავლიანობის შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, და შესაბამისად, შრომისა და სახსრების უნაყოფო ხარჯვას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დეზორგანიზაციას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცალკეული ხელმძღვანელები, იმის მაგივრად, რომ დაიცვან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ საკუთარი სათესლე ფონდის შექმნის დადგენილი წესი, კარიერისტული მოსაზრებებით ცდილობენ რა პირველებმა მოახსენონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, აიძულებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩააბარონ სათესლე მარცვლეული პურის შესყიდვის გეგმის შესრულების ანგარიშში და ამით სერიოზულ ზიანს აყენებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და ადგებიან სახელმწიფოს მოტყუების გზას.

საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის ვარგისი და ხარისხიანი თესლით ჩატარების, როგორც მოსავლიანობის ამაღლების უმნიშვ-

ნელოვანესი საშუალების, უზრუნველყოფის საქმეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაფრთხილებულ იქნან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები, რომ მათ ეკისრებათ სასტიკი პერსონალური პასუხისმგებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების საკუთარი ვარგისი ხარისხიანი თესლის შექმნისათვის მთლიანი მოთხოვნილების ოდენობით.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკუთარი სათესლე ფონდების შექმნის დადგენილი წესის დარღვევისათვის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პასუხისგებაში — განთავისუფლდნენ დაკავებული პოსტებისაგან, გაირიცხონ პარტიიდან და მიცემულ იქნან სახელმწიფოებრივ პასუხისგებაში.

2. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომებისა და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებს გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკუთარი სათესლე ფონდების საჭირო რაოდენობით შექმნის დადგენილი წესის დაცვისადმი და გაფრთხილებულ იქნან ისინი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათი მხრივ დაშვებული იქნება რაიმე ძალდატანება კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობათა დირექტორების მიმართ სათესლე მარცვლეულის ჩაბარებისათვის პურის შესყიდვის გეგმის შესრულების ანგარიშში, ისინი მიცემული იქნებიან მკაცრ პარტიულ და სახელმწიფოებრივ პასუხისგებაში.

3. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შემოიღოს თესლის აღრიცხვის სპეციალური ზონარგაყრილი წიგნი (ლუქის ბეჭდით), რომელშიც უნდა ჩაიწეროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული თესლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორი თესლითაა დათესილი ცალკეული მინდვრები, თესლის ხარისხის, დათესვის ნორმებისა და მიღებული მოსავლიანობის აღნიშვნით. აღნიშნულ წიგნებში სწორად და დროულად

ჩაწერის წარმოებისადმი პასუხისმგებლობა დაეკისროს კოლმეურ-ნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომებსა და საწყობის გამგეებს.

დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლის აღრიცხვის სპეციალური ზონარგაყრილი წიგნის ფორმა. მისცეს შესაბამისი ინსტრუქციული მითითებანი ამ წიგნის წარმოებისათვის, აგრეთვე დაბეჭდოს და გაგზავნოს ადგილებზე აღნიშნული წიგნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მოწყობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რიცხვი და მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა. მიუხედავად ამისა, ბევრ საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მეურნეობის გაძღოლის კულტურა, მთლიანად და ეფექტურად არ არის გამოყენებული მიწის რესურსები, ჩამორჩენილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე.

მაღალია საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის, განსაკუთრებით მეცხოველობის პროდუქციის თვითღირებულება. როგორც წარმოების ორგანიზაციისა და მიწათმოქმედების კულტურის მხრივ, ისე მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მხრივ საბჭოთა მეურნეობები ვერ აკმაყოფილებენ მოწინავე, სანიმუშო მეურნეობის მოთხოვნებს. საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გათიშულობა აძნელებს ერთიანი და კვალიფიციური ხელმძღვანელობის განხორციელებას და მეცნიერულად დასაბუთებული აგროტექნიკის გამოყენებას. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაზე.

იმ მიზნით, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა, უზრუნველყოფილ იქნას არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზერვების უფრო სრულად გამოვლინება და გამოყენება საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს შემადგენლობაში შეიქმნას საბჭოთა მეურნეობების შემდეგი ტრესტები:

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი,

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი,

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი,

მეხილეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

2484

3. გადაეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, სახალხო მეურნეობის საბჭოდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში საბჭოთა მეურნეობები და სხვა დამხმარე საწარმოები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

4. მოწონებულ იქნას ძირითადად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

5. ამ დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების გადაცემა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსათვის მოხდეს კაპიტალდაბანდებათა ლიმიტებით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებით, შრომის გეგმებით და ხელფასის ფონდებით, პერსონალური განაკვეთების ლიმიტების ჩათვლით, ტრესტების შემოსავალ-გასავლის ბალანსებით, აგრეთვე დაფინანსების წყაროებით, რაც გათვალისწინებულია 1961 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით და ბიუჯეტით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს შტატები, მისი დებულება, აგრეთვე იმ საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრეს-

ბიბლიოთეკა

ტების სტრუქტურა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსთან იქმნება.

დადგენილ იქნას, რომ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს პერსონალის რაოდენობა და ხელფასის ფონდი დაწესდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალურ აპარატში მათი შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს სისტემაში შემავალი ახალი ტრესტები მოეწყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს შრომის გეგმისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის ხარჯზე, რაც დამტკიცებულია 1961 წლისათვის.

7. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნან ნედლეულით სახალხო მეურნეობის საბჭოს საკონსერვო ქარხნები, საჭიროდ ჩაითვალოს მიემაგროს საკონსერვო ქარხნებს მათ მახლობლად მდებარე მეხილეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები.

დაწესდეს, რომ ეს საბჭოთა მეურნეობები, ექვემდებარებიან რა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, მოვალენი არიან საკონსერვო ქარხნებთან სახელშეკრულებო საფუძვლებზე მოიყვანონ და ჩააბარონ მათ ნედლეული, ამ ქარხნებისათვის საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მოსამსახურეთა და სპეციალისტთა ფართო მონაწილეობით, შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი განვითარებისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობის გაუმჯობესებას, წარმოების მკვეთრად გადიდებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 თებერვალი, № 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 14 თებერვლის № 73
დადგენილების დანართი

## სტრუქტურა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსი

**ხელმძღვანელობა**

**საწარმოო-ტექნიკური სამმართველო სამი განყოფილებით**

მემცენარეობის საბჭოთა მეურნეობების განყოფილება
მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების განყოფილება
კომპლექსური მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება.

**საგეგმო-საფინანსო სამმართველო სამი განყოფილებით**

საგეგმო განყოფილება
საფინანსო განყოფილება
შრომის დანორმვის ორგანიზაციის განყოფილება

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

ცენტრალური ბუღალტერია

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

**საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსთან არსებობენ საბჭოთა მეურნეობების შემდეგი ტრესტები:**

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი
მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი
მეხილეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

## 5 1961 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სიმინდის მწიფე მარცვლის მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 16 იანვარის № 38 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს დავალებანი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სიმინდის თესვისა და თვითეულ ჰექტარზე სიმინდის მწიფე მარცვლის 60 ცენტნერი მოსავლის მიღებისა 1961 წლისათვის, რაც განაწილდეს რაიონების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს:

ა) ხუთი დღის ვადაში აცნობონ კოლმეურნეობებს 1961 წელს სიმინდის თესვისა და სიმინდის მწიფე მარცვლის დიდი მოსავლის მიღების ამ დადგენილებით დაწესებული დავალებანი და უზრუნველყონ, რომ გამოყოფილ იქნას ამ მიზნისათვის საუკეთესო მიწის ნაკვეთები, ხოლო სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში — სარწყავი წყლით გარანტირებულად უზრუნველყოფილი ნაკვეთები.

სიმინდის მარცვლის უხვი მოსავლის მისაღებად როგორც წესი, ნათესებისათვის გამოყონ მზრალად მოხნული ნაკვეთები, ხოლო იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არ არის — ჩაატრონ სიმინდისათვის განკუთვნილ ნაკვეთებზე ადრეულ — საგაზაფხულო ხვნა სახნავი ფენის სრულ სიღრმეზე.

ბ) კოლმეურნეობის აგრონომისა და თავმჯდომარის პერსონალური პასუხისმგებლობით მოაწყონ სიმინდის ჯიშიანი თესლის შერჩევა, მისი გაწმენდა, დაკალიბრება და სათეს კონდიციებამდე აყვანა იმ ოდენობით, რაც საჭიროა დაწესებული დავალების შესასრულებლად; იმ მეურნეობებში, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი ჯიშის სიმინდის საჭირო რაოდენობის თესლი, მოაწყონ თესლის საკოლმეურნეობათაშორისო გადაცვლა.

სიმინდის თესლის მომზადება თესვისათვის, გადაცვლის ოპერაციების ჩათვლით, დამთავრდეს ყველგან არა უგვიანეს 1961 წლის 15 მარტისა;

გ) თვითეულ კოლმეურნეობაში, რომელსაც აქვს სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების დავალებანი, შეიმუშაონ პრაქტიკული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებანი, რათა სავსებით იქნან უზრუნველყოფილი ეს ნათესები ადგილობრივი ორგანული სასუქით (ნაკელი, ფრინველის სკორე, ტორფი, დეფეკაციური ტალახი და სხვ.). ორგანული სასუქის შეტანა მინდვრებში აწარმოონ აგროტექნიკური ვადების დაცვით;

დ) იმ მიზნით, რომ არ მოხდეს გაუპიროვნება და უზრუნველყოფილ იქნას სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის ყველა ღონისძიების დროულად და მაღალხარისხოვნად განხორციელება, საწარმოო ბრიგადების შემადგენლობაში შექმნან სპეციალური რგოლები, რომლებშიაც შეიყვანონ გამოცდილი, სიმინდის აგროტექნიკის კარგად მცოდნე კოლმეურნეები.

მიამაგრონ ბრიგადასა და რგოლს, რომლებიც სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანას ეწევიან, სიმინდის დასათესად და ნათესების მოსავლელად საჭირო ინვენტარი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებანი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა უხვმოსავლიან ნაკვეთებზე სიმინდის მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის მაქსიმალურად დანერგვა;

ე) გულმოდგინედ განიხილონ მინდვრებში მოსავლის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული ნათესების წანახედი და მოსავლის დატაცება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს რაიონებს სიმინდის უხვმოსავლიანი ნათესებისათვის 11 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავმანქანათვაჭრობამ უზრუნველყოს ამ სასუქების შეტანა რაიონებში იმ რაოდენობით და იმ ვადებში, რაც გათვალისწინებულია № 2 დანართით.

დაევალოთ რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს სიმინდის უხვმოსავლაინი ნათესებისათვის გამოყოფილი მინერალური სასუქები გამოიყენონ მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით და აქტიური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს იმ მხრივ, რომ დროზე მიზიდონ მოხმარების ადგილებზე გამოყოფილი სასუქები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს თებერვლის განმავლობაში მოაწყოს უხვმოსავლიანი სიმინდის მოყვანის ბრიგადირთა, მერგოლეურთა და მექანიზატორთა მოკლევადიანი კურსები — სემინარები, სადაც საუკეთესო აგრონომების საუბრის გარდა, ჩატარდეს მოწინავე მესიმინდეებისა და მექანიზატორთა საუბრები მათი მუშაობის გამოცდილების გასაცნობად.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მიმაგრებულ იქნან რაიონებზე უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, აგრეთვე იმის შესახებ, რომ გაგზავნილ იქნან სიმინდის მოყვანის მთელი პერიოდისათვის სპეციალისტები და მეცნიერი მუშაკები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეობებს სიმინდის უხვმოსავლიანი ფართობების თესვისა და დამუშავების საქმეში.

6. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიაღმასკომებს აამაღლონ აგრონომთა როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და სიმინდის დამუშავების აგროტექნიკის სწორად გამოყენების საქმეში, დიდი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

დაწესდეს, რომ აგრონომს ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა სიმინდის უხვმოსავლიან ნაკვეთებზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის დროულად და ხარისხოვნად გატარებისათვის, ამასთან შეუწყნარებელია აგრონომის მითითებათა უგულებელყოფა ამ საკითხებზე ვის მხრივაც არ უნდა იყოს იგი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების შესახებ.

8. დაწესდეს 1961 წლისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა იმ რაიონისათვის გადასაცემად, რომელმაც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია სიმინდის უხვი მოსავლის მიღებაში.

9. დაწესდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „რესპუბლიკური საპატიო წიგნი" იმ მოწინავე მესიმინდეთა შესატანად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სიმინდის უხვ მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში.

დაევალოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაამტკიცოს დებულება აღნიშნული საპატიო წიგნის შესახებ.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს ერთი თვის ვადაში მოამზადონ და მასობრივი ტირაჟით გამოსცენ პლაკატები, ფურცლები,

ბროშურები, აგრეთვე გამოუშვან მოკლემეტრაჟიანი კინოფილმები, რომლებიც მოუთხრობენ მოწინავე მესიმინდეთა გამოცდილებაზე და პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას მისცემენ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის საკითხზე.

11. დაევალოთ საქართველოს კპ რაიკომებსა და რაიაღმასკომებს ფართოდ მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება რგოლებსა და მექანიზატორებს შორის სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

12. დაევალოთ რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს ფართოდ გააშუქონ სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის სოფლის მშრომელთა ბრძოლის და რგოლებსა და მექანიზატორთა ბრიგადებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, ამასთან მოაწყონ გაზეთების ფურცლებზე სიმინდის უხვი მოსავლისათვის მოწინავე მებრძოლთა გამოცდილების გაზიარება.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პურეულის პროდუქტების მთავარ სამმართველოს შესაბამის რაიაღმასკომებთან ერთად განიხილონ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი 1961 წლის მოსავლის მარცვლის შენახვის უზრუნველყოფის შესახებ.

14. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს განიხილოს საკითხი, რომ კომკავშირელებმა და სოფლის ახალგაზრდობამ ფართო მონაწილეობა მიიღონ სიმინდის, პირველ რიგში სპეციალურად გამოყოფილ უხვმოსავლიან ნაკვეთებზე დათესილი სიმინდის, დიდი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში.

* *
*

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა სიმინდის მწიფე მარცვლის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ რაიონული პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებისაგან, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან დარაზმონ კოლმეურნეობათა, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და სპეციალისტთა ფართო მასები, რათა თვი-

თეულმა ბრიგადამ, თვითეულმა რგოლმა და კოლმეურნეობამ შე-ასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის იანვრის პლენუმის საპატიო დავალება მარცვლეული კულტურების მოსავლის გადიდების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 22 თებერვალი, № 91

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 22 თებერვლის № 91
დადგენილების დანართი № 1

## სამარცვლე სიმინდის სათესი ფართობები კოლმეურნეობებში 1961 წლისათვის

| რაიონები | სულ | აქედან მაღალმოსავლიანი |
|---|---|---|
| 1. ახალციხის | 2060 | — |
| 2. ადიგენის | 1250 | — |
| 3. ასპინძის | 300 | — |
| 4. ხაშურის | 4180 | 2000 |
| 5. ქარელის | 6450 | 1500 |
| 6. გორის | 11000 | 3500 |
| 7. კასპის | 6000 | 800 |
| 8. ბორჯომის | 570 | — |
| 9. საგარეჯოს | 6800 | 2500 |
| 10. გურჯაანის | 4400 | 2000 |
| 11. სიღნაღის | 8770 | 2500 |
| 12. წითელწყაროს | 11750 | 500 |
| 13. თელავის | 3870 | 2000 |
| 14. ახმეტის | 5160 | 2000 |
| 15. ყვარლის | 4750 | 2500 |
| 16. ლაგოდეხის | 3980 | 2000 |
| 17. სამგორის | 4200 | 2000 |
| 18. მცხეთის | 3000 | 500 |
| 19. მარნეულის | 7000 | 4000 |
| 20. ბოლნისის | 6100 | 2000 |
| 21. დუშეთის | 4350 | — |
| 22. თეთრიწყაროს | 5370 | — |
| 23. დმანისის | 2000 | — |
| 24. თიანეთის | 3200 | — |
| 25. სამხრეთ ოსეთის ა/ო | 8000 | 1000 |
| 26. წყალტუბოს | 8000 | 500 |
| 27. სამტრედიის | 7420 | 1500 |
| 28. წულუკიძის | 4650 | 300 |
| 29. ვანის | 5450 | 500 |
| 30, მაიაკოვსკის | 3630 | 200 |
| 31. ზესტაფონის | 3630 | 500 |
| 32. თერჯოლის | 5730 | 600 |
| 33. ჭიათურის | 5440 | — |
| 34. საჩხერის | 5380 | — |
| 35. ორჯონიკიძის | 3760 | — |
| 36. ტყიბულის | 2860 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | სულ | აქედან მაღალმოსავლიანი |
|---|---|---|
| 37. ონის | 2290 | — |
| 38. ამბროლაურის | 3230 | — |
| 39. ცაგერის | 3880 | — |
| 40. ლენტეხის | 1320 | — |
| 41. აბაშის | 8000 | 3600 |
| 42. ცხაკაიას | 4500 | 2200 |
| 43. გეგეჭკორის | 4850 | 2000 |
| 44. ზუგდიდის | 6110 | 3000 |
| 45. ხობის | 3540 | 2100 |
| 46. წალენჯიხის | 2510 | 300 |
| 47. ჩხოროწყუს | 3120 | 300 |
| 48. მახარაძის | 4060 | 1000 |
| 49. ლანჩხუთის | 6120 | 1600 |
| 50. ჩოხატაურის | 3290 | 200 |
| 51. მესტიის | 530 | — |
| 52. აფხაზეთის ასსრ | 22000 | 6000 |
| 53. აჭარის ასსრ | 4760 | 300 |
| სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში: | 264580 | 60000 |

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 22 თებერვლის № 91
დადგენილების დანართი № 2

# განაწილება

## სიმინდისათვის საჭირო აზოტოვანი სასუქისა 1961 წლისათვის (ტონობით სულფატამონიუმზე გადაყვანით)

| რაიონები | I კვარტალში | II კვარტალში | III კვარტალში |
|---|---|---|---|
| ხაშურის | — | 300 | 60 |
| ქარელის | — | 220 | 80 |
| გორის | — | 400 | 300 |
| კასპის | — | 120 | 40 |
| საგარეჯოს | 140 | 230 | 130 |
| გურჯაანის | 200 | 100 | 60 |
| სიღნაღის | 200 | — | — |
| წითელწყაროს | — | 100 | — |
| თელავის | 200 | 100 | 60 |
| ახმეტის | 200 | 100 | 60 |
| ყვარლის | 200 | 180 | 70 |
| ლაგოდეხის | 200 | 100 | 60 |
| სამგორის | 200 | 100 | 60 |
| მცხეთის | 100 | — | — |
| მარნეულის | 200 | 200 | 310 |
| ბოლნისის | 200 | 100 | 50 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | — | 150 | 210 |
| წყალტუბოს | — | 100 | — |
| სამტრედიის | — | 220 | 50 |
| წულუკიძის | — | — | 50 |
| ვანის | — | — | 100 |
| მაიაკოვსკის | — | — | 40 |
| ზესტაფონის | — | — | 100 |
| თერჯოლის | — | — | 100 |
| აბაშის | — | 500 | 150 |
| ცხაკაიას | — | 350 | 50 |
| გეგეჭკორის | — | 300 | 60 |
| ზუგდიდის | — | 450 | 110 |
| ხობის | — | 300 | 80 |
| წალენჯიხის | — | 50 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| რაიონები | I კვარტალში | II კვარტალში | III კვარტალში |
|---|---|---|---|
| ჩხოროწყუს | — | 50 | — |
| მახარაძის | — | 200 | - |
| ლანჩხუთის | — | 250 | 50 |
| ჩოხატაურის | — | 50 | — |
| აფხაზეთის ასსრ | — | 650 | 450 |
| აჭარის ასსრ | — | — | 50 |
| სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში: | 2040 | 5970 | 2990 |

**6** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ელექტროფიკაციისა და სოფლის მეურნეობაში მშენებლობის რესპუბლიკური გაერთიანების („საქსოფლტექნიკის“) შექმნის შესახებ**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეიქმნას რესპუბლიკური გაერთიანება სამეურნეო ანგარიშზე „საქსოფლტექნიკა“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის უფლებებით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს სტრუქტურა, შტატები და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ შექმნასთან და მიიღოს შესაბამისი დადგენილება.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1961 წ. 24 თებერვალი, № 94.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**7** **მოძრაობის უსაფრთხოების, ავტომობილების გამოყენების წესების უხეში დარღვევის ფაქტებისა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის № 757-ს დადგენილე-

ბის არადამაკმაყოფილებლად შესრულების შედეგად, სისტემატურად მატულობს საავტომობილო ავარიები, რასაც თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი.

ასეთი ავტოსატრანსპორტო შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა იმით არის გამოწვეული, რომ ამ საქმეს სათანადო კონტროლს არ უწევენ ავტოსატრანსპორტო მეურნეობათა ცალკეული ხელმძღვანელები, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში — იმით, რომ ისინი უყურადღებოდ ტოვებენ უხეშ დარღვევებს — ტექნიკურად უწესივრო ავტომობილების ექსპლუატაციის, მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტებს.

შემოწმებით გამოვლინებულ დარღვევათა დიდი უმეტესობა, მოდის უწესივრო ავტომანქანების ექსპლუატაციაზე, მათს უკანონოდ გამოყენებაზე.

მარტო ორი დღის განმავლობაში — 1960 წლის 1 ოქტომბერს — შაბათს და 2 ოქტომბერს — კვირას თბილისისაკენ მომავალ გზებზე რეგისტრირებულ იქნა 1.254 სატვირთო ავტომობილი, რომელთაგან ბევრი გამოგზავნილი იყო არა სამსახურებრივი საჭიროებისათვის, არამედ პირადი, ანგარებითი მიზნებისათვის.

ყველაზე მეტი რაოდენობის მარცხის შემთხვევათა დამნაშავენი აღმოჩნდნენ მძღოლები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობებისა — პირველი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორისა, მე-10 ტაქსმოტორული ავტოსატრანსპორტო კანტორისა, მე-4, მე-16 სატვირთო და ზოგიერთი სხვა კანტორისა.

მძღოლთა შემადგენლობაში არა ჩანს ნამდვილი დისციპლინა. ადგილი აქვს თვითნებურ გამგზავრებას, ავტომანქანების გამოყენებას პირადი საჭიროებისათვის, გარაჟში არა თავის დროზე დაბრუნებას სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ავტომობილების მართვას არაფხიზელ მდგომარეობაში, ავტოხულიგნობას, რაც ხშირად იწვევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს მძიმე შედეგებით (მაგალითად, თბილისის № 2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის ზილ-127 მარკის ავტობუსის ავარია, რომლის დროსაც მოკლულია 4 და დაშავდა 7 კაცი, წყალტუბოს და ლენინგორის ავტოსატრანსპორტო კანტორების გაზ-51 მარკის მანქანების ავარია, რომლის დროსაც აგრეთვე რამდენიმე კაცი დაიღუპა). ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ქ. თბილისის №№ 3, 8, 13 და 21 ავტოსატრანსპორტო კანტორებში, მარნეულისა და ტყიბულის ავტოსატრანსპორტო კანტორებში, აგრეთვე ტრესტ „კავკაზელექტრო-

სეტსტროის“, ცეკავშირის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-თან არსებული გეოლოგიური სამმართველოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეორადი შავი და ფერადი ლითონების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველოს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის და სხვათა საავტომობილო მეურნეობებში.

ხშირად ირღვევა სატვირთო ავტომობილებით ხალხის გადაყვანის დადგენილი წესები.

ბათუმის № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორის ერთერთს მძღოლს თვითნებურად და გამორჩენის მიზნით მიყავდა გაზ-93 მარკის თვითმცლელი ავტომობილით 25 მგზავრი. მანქანა გადაბრუნდა და 4 კაცი დაიღუპა, ხოლო 12 კაცი დაშავდა.

გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის კოლმეურნეობის გაზ-51 მარკის გაუწყობელი ავტომანქანა სისწრაფის გადამეტების გამო გზის მოსახვევში გადაბრუნდა და მძიმედ დაშავდა რამდენიმე მგზავრი კოლმეურნე. ამ მანქანას ისეთი პირი მართავდა, რომელსაც მძღოლის უფლება არ ჰქონდა.

ხშირად გარაჟებიდან უშვებენ ტექნიკურად უწესივრო ავტომობილებს, რაც რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს მოძრაობის უსაშიშროებას.

ახალი ათონის დასასვენებელმა სახლმა — „ფსირცხამ“ გამოუშვა „მელოტი“ საბურებიანი ავტობუსი და ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ბზიფი — რიწის გზაზე მოხდა ავარია, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი დაიღუპა და დაშავდა. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გორის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორამ გამოუშვა გაზ-51 მარკის ავტომობილი, რომლის საჭე უწესივრო მდგომარეობაში იყო, ამ მანქანამ ავარია განიცადა, ხოლო შოფერი დაიღუპა.

ბევრი სამინისტროს, უწყების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები საჭირო ზომებს არ იღებენ იმისათვის, რომ განამტკიცონ დისციპლინა ავტომეურნეობების მუშაკთა შორის, აამაღლონ მძღოლთა კვალიფიკაცია და გააუმჯობესონ ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობა.

მოძრაობის უსაშიშროების წესებს უხეშად არღვევენ ინდივიდუალური მანქანების მფლობელები. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როდესაც ასეთ ავტომობილებს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების და მოძრაობის უსაშიშ-რობის წესების დარღვევაში ხშირად დამნაშავენი არიან სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ავტომობილების მძღოლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკე-ცილების მთავარი სამმართველო არ იღებს საკმაო ზომებს გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საგზაო-სასიგნალო ნიშნებისა და სხვა მოწყობილობათა რიცხვის შევსებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს არ შეუსრულებია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის დადგენილება, მან ვერ უზრუნველყო გამოეშვა მოკლემეტრაჟიანი კინოფილმები მოძ-რაობის უსაშიშრობის შესახებ.

მეტად განსაზღვრულია ქუჩაში მოძრაობის იმ ახალი წესების ტირაჟი, რომლებიც 1960 წელს გამოიცა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო სუსტად ადევ-ნებს თვალყურს მძღოლთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დაც-ვას და ავტომანქანების ტექნიკურ მდგომარეობას, მილიციის ცალ-კეულ მუშაკთა საქმიანი თვისებები არ შეესაბამება ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებს და ვერ უზრუნველყოფს წეს-რიგს ავტოტრანსპორტის მოძრაობაში.

სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები აჭიანურებენ იმ სასამართლო საქმეების გამოძიებასა და განხილვას, რომლებიც აღძრულია ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევაში დამნაშავე და ისეთ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ავტომობილებს ანგარებითი მიზნით იყენებენ.

არასაკმაოდ მიმართავენ ზემოქმედების ადმინისტრაციულ ზო-მებს დამრღვევთა მიმართ. ნაკლებად იყენებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებუ-ლებას[1] ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების მძღოლების წინააღმდეგ, რომლებიც დადგენილ წესებს არღვევენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავ-ტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქა-ლაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ვერ უზრუნველყვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ

---

1 ამჟამად მოქმედებაშია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამტ-კიცებული და სამოქმედოთ 1961 წლის 1 მარტიდან შემოღებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 და 241 მუხლები.

მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის № 757-ს დადგენილების იმ ნაწილის შესრულება, რომელიც შეეხება მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ავტომეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის № 757-ს დადგენილების შესრულება და მიიღონ ზომები მისი განუხრელად განხორციელებისათვის;

ბ) გადასინჯონ ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა; ის პირები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სათანადო მუშაობას, შეცვალონ გამოცდილი სპეციალისტებით და უნარიანი მუშაკებით;

გ) გააძლიერონ შრომის დისციპლინა ავტომეურნეობათა მუშაკებს შორის, განსაკუთრებით მძღოლთა შემადგენლობას შორის, და ბოლო მოუღონ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას, ავტომობილების არადანიშნულებით გამოყენებას და ტექნიკურად უწესივრო მანქანების ექსპლუატაციას;

დ) მიიღონ გადამწყვეტი ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ სატვირთო ავტომობილებით ხალხის გადაყვანის წესებს.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განიხილოს კოლეგიის სხდომაზე იმ ავტომეურნეობათა ხელმძღვანელების საკითხი, რომელთა მძღოლებმა დაუშვეს საგზაო-სატრანსპორტო მარცხის ყველაზე მეტი შემთხვევა და სასტიკად დასაჯოს დამნაშავენი.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გეოლოგიურმა სამმართველომ და მეორადი შავი და ფერადი ლითონების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველომ სამუშაოდან მოხსნეს ის პირები, რომლებსაც ბრალად ედებათ ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა და უწესივრო ავტომობილების ექსპლუატაცია.

4. გაფრთხილება მიეცეთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საექსპლუატაციო სამმართველოების

უფროსებს ამხ. გ. პ. გაჩეჩილაძეს, ა. ა. ჭიჭინაძეს, ი. ი. [illegible]შვილსა და ლ. გ. ვარდიშვილს, რომ თუ ისინი უახლოეს დროში არ დაამყარებენ წესრიგს ავტომეურნეობების მიერ მანქანების ექსპლუატაციის საქმეში, მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ამხ. თ. ნ. დავითაშვილის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. ე. მელაძის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიური სამმართველოს უფროსის ამხ. ქ. გ. კერესელიძის, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. პ. კ. ცაგარეიშვილის, ტრესტ „კავკაზელექტროსეტსტროის“ მმართველის ამხ. ა. ს. მიქაბერიძის ყურადღება მიექცეს საწარმოო დისციპლინის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას მათდამი დაქვემდებარებულ ავტომეურნეობებში და ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების უხეშ დარღვევას, რამაც გამოიწვია ავტოსაგზაო მარცხის ბევრი შემთხვევა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს:

ა) მიიღოს ზომები გზების შენახვისა და რემონტის გასაუმჯობესებლად, გარაყების მოსაწყობად, მრუდეების გამოსასწორებლად, საგზაო-სასიგნალო ნიშნებისა და სხვა საგზაო მოწყობილობათა რიცხვის შესავსებად;

ბ) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციასთან ერთად შეისწავლოს გზებზე ის ადგილები, სადაც რამდენიმე საგზაო მარცხი მოხდა, და მიიღოს საჭირო ზომები იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უწყობენ ავარიებს.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს გააძლიეროს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის უსაშიშროების წესების პროპაგანდა რადიოთი და ტელევიზიით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

ა) საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეკვეთით გამოუშვას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოკლემეტრაჟიანი ფილმი მოძრაობის უსაშიშროებისა და საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობასთან ბრძოლის შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამლევამდე გამოსცეს დამატებით სსრ კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის 1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის წესები (75 ათასი ცალი ტირაჟით ქართულ ენაზე და 25 ათასი ცალი ტირაჟით რუსულ ენაზე).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყონ მოკლემეტრაჟიანი ფილმის გამოსაშვებად საჭირო სახსრები, აგრეთვე ქაღალდი სსრ კავშირის ქუჩებში და გზებზე მოძრაობის წესების დამატებითი ტირაჟის გამოსაცემად.

9. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეიმუშაონ და სისტემატურად განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებანი საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლისა და რესპუბლიკის გზებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისათვის.

10. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა) მიიღოს გადამწყვეტი ზომები სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის, გააძლიეროს ბრძოლა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოძრაობის წესების დაცვისათვის; მძღოლებს, რომლებიც დადგენილ წესებს არღვევენ, ჩამოართვას ტრანსპორტის მართვის უფლება ერთ წლამდე ვადით;

ბ) გააძლიეროს კონტროლი ინდივიდუალურ მფლობელთა ავტომობილების გამოყენებისადმი და აღკვეთოს ამ მანქანების ექსპლუატაცია ანგარებითი მიზნებით. სრულად გამოიყენოს დამრღვევთა მიმართ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 მარტის ბრძანებულება[1];

გ) გადასინჯოს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა პირადი შემადგენლობა და განამტკიცოს იგი კვალიფიციური მუშაკებით;

დ) გაადიდოს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების რიცხვი, რისთვისაც გამოიყენოს ავტოსატრანსპორტო მეურნეობების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და სხვათა მუშაკები;

ე) საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან და შესაბამის სამხედრო ნაწილებთან ერთად ერთი დეკადის ვადაში მოაწყოს საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების შემმოწმებელი ბრიგადები.

11. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს დააჩქარონ იმ პირთა მიმართ აღძრული სასამართლო საქმეების განხილვა, რომ-

[1] იხ. სქოლიო 32 გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც არღვევენ ქუჩაში მოძრაობის წესებს და ანგარ[illegible] ნებით იყენებენ ავტომობილებს.

12. ეთხოვოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს ამხ. კ. ნ. გალიცკის მისცეს მითითება ჯარის ნაწილებს საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

13. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში შეამოწმონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 სექტემბრის № 757-ს დადგენილების შესრულება, მიიღონ ზომები აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 7 იანვარი, № 10.

**8** **გ1-10 უნიფიცირებული სერიის ერთსართულიანი და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების საპროექტო დავალებათა დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 7-ბალიანი სეისმურობის სოფელ ადგილებში, გარეუბნებსა და მუშათა დაბებში მშენებლობისათვის გ1-10 უნიფიცირებული სერიის ისეთი ერთსართულიანი და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებანი, რომლებსაც ექნებათ ქარხანაში გაკეთებული დეტალები და ადგილობრივი მასალისაგან დამზადებული კედლები:

**ერთსართულიანი ერთბინიანი სახლისა**

ოროთახიანი

სამოთახიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხოთახიანი
ხუთოთახიანი

ერთსართულიანი ორბინიანი ბლოკირებული სახლისა

ოროთახიანი ბინებით
სამოთახიანი ბინებით

ორსართულიანი ბლოკირებული სახლისა

ოთხი ოროთახიანი ბინით
ოთხი სამოთახიანი ბინით
ოთხი ოთხოთახიანი ბინით ორ დონეზე
რვა ოროთახიანი ბინით გალერიის ტიპისა
ერთი ხუთოთახიანი ბინით ორ დონეზე.

2. დამტკიცდეს სერიის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ეირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 27 იანვარი, № 32.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 27 [illegible]
დადგენილების დანართი

## გ1—10 უნიფიცირებული სერიის ერთი და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების საპროექტო დავალებათა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

| პროექტის დასახელება | შენობის მოცულობა კუბ. მეტრობ. | სახლის საცხოვრებელი ფართობი კვ. მეტრობით | სახლის სასარგებლო ფართობი კვ. მეტრობით | ერთი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება მანეთობით |
|---|---|---|---|---|
| **ერთსართულიანი ერთბინიანი სახლები** | | | | |
| 1. ოროთახიანი | 152 | 25,7 | 42,2 | 125,0 |
| 2. სამოთახიანი | 186,5 | 36 | 53 | 103,6 |
| 3. ოთხოთახიანი | 219 | 46 | 62,7 | 95,0 |
| 4. ხუთოთახიანი | 243 | 53,5 | 70,3 | 91,0 |
| **ერთსართულიანი ბლოკირებული სახლები** | | | | |
| 5. ორბინიანი ოროთახიანი ბინებით | 304 | 51,3 | 81 | 126,7 |
| 6. ორბინიანი სამოთახიანი ბინებით | 373 | 72,3 | 106,1 | 103,6 |
| **ორსართულიანი ბლოკირებული სახლები** | | | | |
| 7. ოთხბინიანი ოროთახიანი ბინებით | 601 | 104,7 | 168 | 103,6 |
| 8. ოთხბინიანი სამოთახიანი ბინებით | 757 | 144,6 | 212 | 83,5 |
| 9. ოთხბინიანი ოთხოთახიანი ბინებით ორ დონეზე | 1039 | 193 | 267,4 | 77,3 |
| 10. ორსართულიანი რვაბინიანი ოროთახიანი ბინებით გალერიის ტიპისა | 984 | 188 | 290,4 | 95,5 |
| 11. ორსართულიანი ერთბინიანი ხუთოთახიანი ბინით ორ დონეზე | 314 | 58,9 | 79,1 | 90,3 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

## 9 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, რომლებიც მოძველდა ან რომლებმაც ფაქტიურად ძალა დაკარგეს შედგომ დადგენილებათა მიღებასთან დაკავშირებით, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 27 იანვარი, № 33

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 27 იანვრის № 33
დადგენილების დანართი

### ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 4 თებერვლის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კოლხიდის დაბლობის დაშრობისა და სამეურნეოდ გამოყენების ხელშემწყობი კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

(კან. კრ., 1932 წ., № 5, მუხ. 48).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 11 ივნისის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გამომგონებლობის საქმეთა კომიტეტის სპეციალურ სახსართა შესახებ“.

(კან. კრ., 1933 წ., № 16, მუხ. 209)

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 31 აგვისტოს დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან რადიოფიკაციისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის მოწყობის შესახებ“.

(კან. კრ., 1933 წ., № 24, მუხ. 304).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 14 აგვისტოს № 981 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო კომიტეტის გაუქმების შესახებ“.

(კან. კრ., 1936 წ., № 23, მუხ. 131).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 22 აგვისტოს № 1034 დადგენილება —

„საქართველოს სსრ-ში კინომრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ“.

(კან. კრ., 1936 წ., № 23, მუხ. 132).

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 7 იანვრის № 69 დადგენილება —

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის წამოწყებათა სათანადო საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატების გამგებლობაში გადაცემის შესახებ“.

(კან. კრ., 1937 წ., № 3, მუხ. 22).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 იანვრის № 70 დადგენილება —

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ წამოწყებათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა შედგენილობის შესახებ“.

(კან.კრ., 1937 წ., № 3, მუხ. 23).

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 5 იანვრის № 12, 149 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარი სამმართველოების ორგანიზაციის შესახებ“.

(კან. კრ., 1938 წ., № 4, მუხ. 14).

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 19 დეკემბრის № 2618 დადგენილება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს მოწყობის შესახებ".

(კან. კრ., 1941 წ., № 1, მუხ. 9).

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 10 იანვრის № 46 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ".

(კან. კრ., 1941 წ., № 5, მუხ. 26).

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 24 ივლისის № 1353 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახკოსაბჭოსთან არსებული ადგილობრივი და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველოს ლიკვიდაციისა და მისი ფუნქციების საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ".

(კან. კრ., 1941 წ., № 23, მუხ. 140).

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 15 თებერვლის № 112 დადგენილება —

„საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ".

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 20 ივლისის № 540 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტროს მოწყობის შესახებ".

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ოქტომბრის № 925 დადგენილება —

„საქართველოს სსრ გემოვნების მრეწველობის სამინისტროს ორგანიზაციის შესახებ".

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 14 იანვრის № 39 დადგენილება —

„საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" — ცვლილებით, რაც შეტანილია 1948 წლის 20 ივლისის № 813 დადგენილებით.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 25 მაისის № 540 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 ივლისის № 948 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მუშათა ორგანიზებული შეგროვების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 20 იანვრის № 69 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს შექმნის შესახებ“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 287 დადგენილება —

„საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აპრილის № 371 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის შექმნის შესახებ“.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 30 ივლისის № 696 დადგენილება —

„საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 9 დეკემბრის № 1122 დადგენილება —

„სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გადასახლების ორგანიზაციის საქმის მოწესრიგების შესახებ“.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 18 იანვრის № 45 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს მოწყობის შესახებ“.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 17 იანვრის № 359 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 11 ნოემბრის № 634 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 მარტის № 178 დადგენილება —

„საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 ივნისის № 373 დადგენილება —

„საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ“.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 აპრილის № 264 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არქიტექტურისა და სამშენებლო კონტროლის საქმეთა სამმართველოს შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

## 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტის სახელწოდების შეცვლის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტს გამოეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტი).

2. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 31 იანვარი, № 50

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 31 იანვრის № 50
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენს რესპუბლიკურ ორგანოს, რომელიც შექმნილია „საქართველოს სსრ წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ივნისის № 427 დადგენილების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების გეგმიანი გამოყენებისათვის, მათი დაცვისათვის დაშრეტისაგან, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ჩამდინარე (სადრენაჟო, ნამუშევარი) წყლებითა და ჩანაყარებით დანაგვიანებისა და გაბინძურებისაგან, აგრეთვე წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობის, დაჭაობების, წარეცხვის, ნიადაგის წყლოვანი ეროზიისა და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს სსრ ყველა ზედაპირულ, მიწისქვეშა წყლებზე და ზღვის ტერიტორიულ წყლებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების დროს ემყარება რესპუბლიკაში არსებულ წყალთა მეურნეობის სამსახურს, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს და სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებიც დაკავშირებული არიან წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებასთან.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ევალება:

ა) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გეგმიანი აღრიცხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მათი გეგმიანი კომპლექსური გამოყენება;

ბ) წყალთა მეურნეობის ბალანსებისა და წყლის რესურსების გამოყენება-დაცვის პერსპექტიული სქემების შემუშავების მოწყობა ცალკეული მდინარეების აუზებისათვის, სამრეწველო რაიონებისა და მთლიანად რესპუბლიკისათვის;

გ) წყლის მავნე ზეგავლენის — წყალდიდობის, შეტბორვის, დაჭაობების, ნიადაგის ეროზიის, მეწყრების, დახრამვის და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კონტროლი;

დ) ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ძირითად აუზებში წყლის რესურსების გამოყენების შეჯამებული გეგმებისა და ზემო და ქვემო ბიეფებში ჰიდროელექტროსადგურების, თევზის მეურნეობის, ხე-ტყის დაცურებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მიერ წყალსაცავების კომპლექსური გამოყენების წესების გამზადება და მათი წარდგენა განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის; მონაწილეობა წყლის რესურსების გამოყენების იმ ობიექტების განაწილების საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია სახალხო სამეურნეო გეგმებით;

ე) წყლის რესურსების გამოყენების მიმდინარე დისპეტჩერული რეგულირება დამტკიცებული შეჯამებული გეგმისა და წლის ფაქტიური წყლიანობის საფუძველზე, აგრეთვე გეგმით დაწესებული წყლის სარესპუბლიკათაშორისო და სისტემათშორისო გადაშვების უზრუნველყოფა;

ვ) სახელმწიფო ზედამხედველობა წყლის რესურსების აღრიცხვისა და საწარმოთა მიერ მათი რაციონალურად გამოყენებისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ ამ საწარმოებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალსატევების დაცვას გაბინძურებისა, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან.

წყალსატევების სათანადო მდგომარეობის ზედამხედველობა და წყლის სათავეების დაცვის ღონისძიებათა შემუშავება ხორციელდება სანიტარული, სანაოსნო და თევზის ზედამხედველობის კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მონაწილეობით (კუთვნილებისამებრ) იმის გათვალისწინებით, რომ წყალი პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგში გამოყენებულ იქნას მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო საჭი-როებისათვის;

ზ) ზედამხედველობა იმისადმი, რომ სწორად იქნან მიღებული და მუდმივ ან დროებით გადაცემული საექსპლუატაციოდ საწარმოები, საამქროები და აგრეგატები, რომლებიც ეწევიან ჩამდინარე წყლების გადაშვებას წყალსატევებში, აგრეთვე იმისადმი, რომ სწორად იქნას მიღებული ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი მდინარეებზე (კაშხალები, საგუბარები და სხვა გადამღობი ნაგებობანი); აღნიშნული ობიექტების ამუშავება დაიშვება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით, რომლის დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სახელმწიფო სანიტარული ინსპექციისა და თევზდაცვის სამმართველოს მოთხოვნები;

თ) სავალდებულო ძალის მქონე დასკვნების მიცემა ისეთი ახალი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის პროექტების გამო, რომლებიც დაკავშირებულია წყლის რესურსების გამოყენებასთან, მათ დაცვასთან და წყლის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლასთან;

ი) იმ ძირითად ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და მოწყობილობათა რეგისტრაცია და პასპორტიზაცია, რომლებიც დაკავშირებულია წყლის რესურსების გამოყენებასთან და დაცვასთან, წყლის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლასთან;

კ) მომზადება სარესპუბლიკათაშორისო შეთანხმებებისა ერთობლივი სარგებლობის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის შესახებ;

ლ) მთელი იმ სამუშაოების კოორდინაცია, რომლებიც რესპუბლიკაში წარმოებს წყლის რესურსების გამოვლინებისა, აღრიცხვისა, გამოყენებისა და დაცვისათვის, აგრეთვე წყლის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

მ) ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების საქმეში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა; ამ მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადება, გავრცელება და პროპაგანდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიულეტენის მეშვეობით; წყლის რესურსების დაცვისა და კომპლექსური გამოყენების საკითხებზე საინფორმაციო ფურცლების გამოცემა საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის მეშვეობით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, უწყებები, ცალკეული საწარმოები, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტები და ორგანიზაციები უმნიშვნელოვანეს დავალებებს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის დარგში, აგრეთვე წყლის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის **ღონისძიებებს.**

მოისმინოს აღნიშნული ორგანიზაციების მოხსენებანი ამ საკითხებზე და მიიღოს მათ გამო წინადადებანი (გადაწყვეტილებანი). შეთანხმებული დაინტერესებულ ორგანიზაციებთან;

ბ) შექმნას კომისიები შესაბამისი ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მონაწილეობით, რათა მომზადდეს წინადადებანი წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის პრობლემების და წყლის მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

გ) მოიწვიოს დადგენილი წესით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე რესპუბლიკურ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებთან ერთად, კონფერენციები და თათბირები სახალხო მეურნეობაში წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების განვითარების საკითხებზე;

დ) მიიღოს კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო მასალები:

— სახალხო მეურნეობის საბჭოსა, სამინისტროებისა და უწყებებისაგან — წყლის რესურსების გამოყენების მათ მიერ დამტკიცებული გეგმები, ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესები, ჰიდროტექნიკურ საწმენდ ნაგებობათა რეკონსტრუქციის ან ახალი მშენებლობის და სხვა ღონისძიებათა პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია მათზე მიმაგრებული წყლის წყაროების დაცვასთან;

— ცალკეული სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისაგან — სამუშაოთა გეგმები და ინფორმაციები წყლის რესურსების გამოყენების საკითხებზე სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან — ცნობები და საანგარიშო მონაცემები წყლის რესურსების გამოყენების საკითხებზე;

— გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციებისაგან — შესათანხმებლად რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების შემდგომი ძიების წლიური და პერსპექტიული გეგმები, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებისადმი სარეჟიმო დაკვირვების ორგანიზაციის გეგმები;

— ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის რესპუბლიკური ორგანოებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურისაგან — ცნობები მდინარეებისა და სხვა წყალსატევების ჰიდროლოგიური რეჟიმისა და პროგნოზების, წყალსატევებში გასაშვები ჩამდინარე წყლების, სასმელი წყლების და ცალკეული სამდინარო აუზებისა და წყალსაცავების წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ;

ე) შეაჩეროს მოქმედი საწარმოების მუშაობა თუ მათ დანიშნულ ვადაში არ შეუსრულებიათ მთავრობის დადგენილება ისეთ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩამდინარე წყლების გაწმენდასა და გაუვნებლებას;

ვ) დაადოს წყლის მომხმარებელ ობიექტებსა და ამ ობიექტების თანამდებობის პირებს სასჯელი ჯარიმის სახით, იმ წინადადებათა შეუსრულებლობისათვის, რომლებიც მიცემულია კომიტეტის მიერ წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების წესების შესრულების საკითხებზე.

ჯარიმის ოდენობა და მისი დადებისა და გადახდევინების წესი განისაზღვრება მთავრობის მიერ ამ საკითხზე მიღებული სპეციალური დადგენილებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და სახელმწიფო კომიტეტის წევრები, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დანიშნავს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე განიხილავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მთავრობების მიერ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას; განიხილავს წყალთა მეურნეობის ნაგებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდა-გაუვნებლების ნაგებობების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების საკითხებს, წყლის რესურსების რაციონალური კომპლექსური გამოყენების საკითხებს, აგრეთვე კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის მუშაობას, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შეამოწმებს მათ შესრულებას; დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს კომიტეტის სისტემის დაწესებულებებს, საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს; დაამტკიცებს დებულებებს კომიტეტის განყოფილებებისა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების და ორგანიზაციების შესახებ; დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომიტეტის აპარატის მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომლებზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

## 11 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 აპრილის № 314 დადგენილებით დამტკიცებული დებულება იურიდიული კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 31 იანვარი, № 51.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 31 იანვრის № 51
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია, აგრეთვე შემუშავება მთავრობის დავალებით და წინასწარ განხილვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენ საკანონმდებლო აქტების და მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტებისა ნორმატიული ხასიათის საკითხებზე.

ამის გარდა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია განაგებს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა კოლეგიების, თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს მუშაობას.

2. აღნიშნული ამოცანების შესწავლისას იურიდიულ კომისიას ეკისრება:

ა) მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და ახალი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების გამოცემასთან დაკავშირებით, ამ კანონმდებლობაში ცვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა შეტანის და მოძველებულ დადგენილებათა გაუქმების შე-სახებ, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რესპუბლიკის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა;

ბ) შეადგინოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური და სისტემატური კრებულები ნორმატიული ხასიათის საკითხებზე;

გ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ მთავრობის დავალებით და თავისი ინიციატივით საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები და განსახილველად წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

დ) შეადგინოს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებათა სიები, რომლებმაც ძალა დაკარგეს, და დასამტკიცებლად წარუდგინოს ეს სიები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ე) აძლიოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასკვნები მის განსახილველად შეტანილ საკანონმდებლო აქტების პროექტების, აგრეთვე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა პროექტების შესახებ;

ვ) მოახდინოს საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების, აგრეთვე საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების სისტემატიზაცია, რომლებსაც ნორმატიული ხასიათი აქვთ;

ზ) შეადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეთა დავალებით ცნობები საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ;

თ) აწარმოოს დადგენილი წესით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების აღრიცხვა;

ი) ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების მუშაობას;

კ) უხელმძღვანელოს თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაობას;

ლ) მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს (მმაჩის) საქმიანობას.

ეროვნული

3. იურიდიული კომისია იძლევა იურიდიული ხასიათის დასკვნებს მთავრობის ცალკეულ დავალებათა მიხედვით, აგრეთვე იურიდიული ხასიათის განმარტებებს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შეკითხვების გამო.

4. იურიდიული კომისია გამოსაცემად მოამზადებს საქართველოს სსრ მოქმედ კოდექსებს.

5. ამ დებულების მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად იურიდიული კომისია:

ა) ჩაატარებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მმართველობის განყოფილებების... 

ბ) შეისწავლის და განაზოგადებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მმაჩის ბიუროსა და არქივების მუშაობის გამოცდილებას;

გ) ჩაატარებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მმაჩის ბიუროსა და არქივების მუშაობის რევიზიასა და შემოწმებას და რევიზიებისა და შემოწმების შედეგების მიხედვით მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

დ) უზრუნველყოფს საქალაქო აღმასკომებს (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა) და რაიაღმასკომებს დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობათა ბლანკებით და სხვა ბლანკებით, რომლებიც საჭიროა მმაჩის ბიუროსა და არქივების მუშაობისათვის.

6. იურიდიულ კომისიას უფლება ეძლევა:

ა) მიიღოს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამინისტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და სასწავლებლებისაგან დასკვნები საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტების გამო, რომელთა შემუშავებას ეწევა იურიდიული კომისია;

ბ) მოიწვიოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და სასწავლებლების სპეციალისტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. იურიდიული კომისია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა პროექტებს, რომელთა დამუშავებას იგი ეწევა, დასკვნებს პროექტების გამო, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის საკითხებს, პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს და დაქვემდებარებულ დაწესებულებათა რევიზიებისა და მათი მუშაობის შემოწმების შედეგებს. კომისიის მუშაობის გეგმებს, მათ შესრულებას და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

8. იურიდიული კომისია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს კომისიის აპარატის და სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაკებს.

10. იურიდიული კომისიის სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

**12** **„საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საქართველოს პროფსაბჭოსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 აპრილის № 234 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე**

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 აპრილის № 234 დადგენილების თანახმად საქართველოს პროფსაბჭოს გადაეცა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1924 წლის 12 ივნისის № 22 დადგენილება „სამკურნალო ადგილებში (კურორტებზე) ჩა-

მოსულთაგან სეზონური გამოსაღების დაწესების [illegible] კრ., 1924 წ., № 25).

ბიბლიოთეკა

2. მუხლი 1 და მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ა“, მე-4 მუხლის მეორე აბზაცი, მუხლები 11 და 12 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 აპრილის № 179 დადგენილებისა „სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. „ზოგიერთი კურორტის კომუნალური მეურნეობისა და საბინაო ფონდის ობიექტების მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 ოქტომბრის № 853 დადგენილების დანართის მუხლი 1.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 15 თებერვალი, № 65.

**13** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გამგებლობაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემიდან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემიდან საბჭოთა მეურნეობები სიის მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სტრუქტურა და შტატები, №№ 2, 3, 4 და 5 დანართების თანახმად.

საბჭოთა მეურნეობების აღნიშნული ორი ტრესტის შტატ[illegible] ხელფასის ფონდი დაწესდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის 1961 წელს დამტკიცებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის, შრომის გეგმისა და ხელფასის ფონდის შემცირების ხარჯზე იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია № 6 დანართით.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 693 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ახლად შექმნილი ტრესტების მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შესახებ.

5. შეუმცირდეთ სამსახურებრივ-სამორიგეო მსუბუქი ავტოტრანსპორტის ლიმიტი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 2 მანქანით, აქედან ერთი — სამეურნეო ორგანოების ხაზით, და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს — ორი მანქანით, აქედან ერთი — ცენტრალური აპარატის ხაზით. აგრეთვე ასიგნობანი თვითეული მანქანის შესანახად 1975 მანეთის ოდენობით (თვითეულზე) და გადაეცეს ისინი სამსახურებრივ-სამორიგეო სარგებლობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, აქედან თითო მანქანა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისათვის.

6. დაევალოთ კომისიებს:

ა) ამხ. გ. კეჩხუაშვილის (მოწვევა), გ. ჯომარჯიძისა და დ. რომელაშვილის შემადგენლობით — ჩაატაროს საბჭოთა მეურნეობების მიღება-ჩაბარება ამ დადგენილების პირველი მუხლის შესაბამისად;

ბ) ამხ. ა. ჭირაქაძის (მოწვევა), გ. ჯომარჯიძისა და დ. რომელაშვილის შემადგენლობით — მოაწყოს საკანცელარიო ინვენტარის გადაცემა სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტებიდან მევენახე-

ობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ორი ახლად შექმნილი ტრესტისათვის იმ საშტატო ერთეულების რაოდენობის შესაბამისად, რომლებიც ამ ტრესტებს გადაეცათ. აგრეთვე გადაწყვიტონ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის განლაგების საკითხები:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 23 თებერვალი, № 93

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებერვლის № 93
დადგენილების დანართი № 1

# ს ი ა

## საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს

| | | |
|---|---|---|
| მარნეულის | მევენახეობის | საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემიდან |
| ალგეთის | „ | „ |
| ყულარის | „ | „ |
| მანავის | „ | „ |
| წრიოხის | „ | „ |
| კარდანახის | „ | „ |
| მუკუზნის | „ | „ |
| შრომის | „ | „ |
| თელიანის | „ | „ |
| წინანდლის | „ | „ |
| ყვარლის | „ | „ |
| ნაფარეულის | „ | „ |
| ბოლნისის | „ | „ |
| არგვეთის | „ | „ |
| ვარციხის | „ | „ |
| საჩხერის | „ | „ |
| ვაზისუბნის | „ | „ |
| ახმეტის | „ | „ |
| სამგორის | „ | „ |
| ოკამის | „ | „ |
| ლილოს | „ | „ |
| ვარკეთილას | „ | „ |
| ალის | „ | „ |
| ვაჩევის | „ | „ |
| ხირსის | „ | „ |
| მცხეთის | „ | „ |
| ალაიანის | „ | „ |
| ქურდღელაურის | „ | „ |
| ტიბაანის | „ | „ |
| ჩოხატაურის | „ | „ |
| გომბორის | „ | „ |
| როდინოულის | „ | საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემიდან |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს

| | | |
|---|---|---|
| ბრეთის | მეხილეობის | საქართველოს სსრ სახალ-ხო მეურნეობის საბჭოს სისტემიდან |
| ქიწნისის | „ | „ |
| ვარიანის | „ | „ |
| ხურვალეთის | „ | „ |
| რუისის | მებოსტნეობა-მეჭარხლეობის | „ |
| ქვენატკოცის | „ | „ |
| ბერბუკის | მებოსტნეობის | „ |
| ქვიტირის | „ | „ |
| სამტრედიის | „ | „ |
| დიოსკურიის | მეხილეობა-მებოსტნეობის | საქართველოს სსრ სოფ-ლის მეურნეობის სამინის-ტროს სისტემიდან |
| ქობულეთის | მებოსტნეობის | „ |
| კრწანისის | „ | „ |
| გარდაბნის | „ | „ |
| ნატახტრის | მებოსტნეობა-მერძევეობის | „ |
| მარნეულის | „ | „ |
| რუისბოლოს | „ | „ |
| მარტყოფის | „ | „ |
| ადიგენის | „ | „ |
| ქვიშხეთის | „ | „ |
| გეგუთის | „ | „ |
| არახლოს | „ | „ |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებერვლის № 93
დადგენილების დანართი № 2

## ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა**

ხელმძღვანელობა

საწარმოო განყოფილება

საგეგმო-საფინანსო განყოფილება

მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება

ბუღალტერია

ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებერვლის № 93
დადგენილების დანართი № 3

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| ტრესტის მმართველი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 |
| **საწარმოო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — იგივე ტრესტის მმართველის მოადგილე | 1 |
| მთავარი აგრონომი | 1 |
| უფროსი აგრონომი | 1 |
| აგრონომი | 2 |
| უფროსი ზოოტექნიკოსი | 1 |
| უფროსი ვეტექიმი | 1 |
| **საგეგმო-საფინანსო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი აგრონომი | 1 |
| უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი | 1 |
| ეკონომისტი პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგში | 1 |
| **მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| **კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი | 1 |
| უფროსი მშენებელი ინჟინერი | 1 |
| მშენებელი ინჟინერი | 1 |
| **ბუღალტერია** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| უფროსი ბუღალტერ-რევიზორი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებ[illegible]
დადგენილების [illegible]

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| ტრესტის მმართველი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 |
| **საწარმოო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — იგივე ტრესტის მმართველის მოადგილე | 1 |
| მთავარი აგრონომი | 1 |
| უფროსი აგრონომი | 1 |
| აგრონომი | 2 |
| უფროსი ზოოტექნიკოსი | 1 |
| უფროსი ვეტექიმი | 1 |
| **საგეგმო-საფინანსო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი აგრონომი | 1 |
| უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი | 1 |
| ეკონომისტი პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგში | 1 |
| **მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| **კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი | 1 |
| უფროსი მშენებელი ინჟინერი | 1 |
| მშენებელი ინჟინერი | 1 |
| **ბუღალტერია** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |
| უფროსი ბუღალტერ-რევიზორი | 1 |
| ბუღალტერი | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებერვლის № 93
დადგენილების დანართი № 4

# ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა

ხელმძღვანელობა
საწარმოო განყოფილება
საგეგმო-საფინანსო განყოფილება
მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება
ბუღალტერია
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებერვლის № 93
დადგენილების დანართი № 5

# შ ტ ა ტ ე ბ ი

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| ტრესტის მმართველი | 1 |
| უფროსი ინსპექტორი კადრების დარგში | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 |
| **საწარმოო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი—იგივე ტრესტის მმართველის მოადგილე | 1 |
| მთავარი აგრონომი მარცვლეული კულტურების დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი „ „ დარგში | 1 |
| მთავ. აგრონომი ბოსტნეულისა და კარტოფილის დარგში | 1 |
| უფროსი აგრონომი | 1 |
| მთავარი ზოოტექნიკოსი | 1 |
| ზოოტექნიკოსი | 1 |
| **საგეგმო-საფინანსო განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი | 1 |
| უფროსი აგრონომი მემცენარეობის დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი ზოოტექნიკოსი მეცხოველეობის დაგეგმვის დარგში | 1 |
| უფროსი ეკონომისტ-ფინანსისტი | 1 |
| ეკონომისტი პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის დაგეგმვის დარგში | 1 |
| აგრონომი შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგში | 1 |
| **მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი | 1 |
| ინჟინერ-მექანიკოსი | 1 |
| **კაპიტალური მშენებლობის განყოფილება** | |
| განყოფილების უფროსი — მთავარი ინჟინერი | 1 |
| უფროსი მშენებელი ინჟინერი | 1 |
| მშენებელი ინჟინერი | 1 |
| **ბუღალტერია** | |
| მთავარი ბუღალტერი | 1 |
| მთავარი ბუღალტრის მოადგილე | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სტრუქტურული ქვეგანაყოფები და თანამდებობანი | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
|---|---|
| უფროსი ბუღალტერ-რევიზორი . . . . . . . . . | 1 |
| ბუღალტერი . . . . . . . . . . . . | 1 |
| ბუღალტერ-რევიზორი . . . . . . . . . . . . | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე . . . . . . . . . . . . | 1 |
| **ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება** | |
| განყოფილებისა და სპეცნაწილის უფროსი . . . . . . | 1 |
| უფროსი იურისკონსულტი . . . . . . . . . | 0,5 |
| უფროსი საქმისმწარმოებელი . . . . . . . . . . | 1 |
| მემანქანე . . . . . . . . . . . . | 2 |
| მინამბეჭდავი . . . . . . . . . . . | 0,5 |
| სამეურნეო ნაწილის გამგე . . . . . . . . . . | 1 |
| შიკრიკი-დამლაგებელი . . . . . . . . . . | 1 |
| დამლაგებელი . . . . . . . . . . . | 1 |
| სულ ტრესტის ხაზით . . . . . . | 37 |

**შენიშვნა:** თანამდებობრივი განაკვეთები აგრონომებს დაუწესდებათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 25 ოქტომბრის № 1926 დადგენილების შესაბამისად, ხოლო ზოოტექნიკოსებს — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილების შესაბამისად.

ინჟინერ-მექანიზატორებს თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდებათ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 30 ნოემბრის № 1331 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 თებერვლის № 93
დადგენილების დანართი № 6

**რაოდენობა საშტატო ერთეულებისა, რომლებიც შემცირებულ უნდა იქნან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამეურნეო ორგანოებში მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შტატების დასაკომპლექტებლად**

| | რაოდენობა | ძირითადი ხელფასის ფონდი | პერსონალუ-რი დანამა-ტები | სულ |
|---|---|---|---|---|
| სამტრესტის ხაზით | 45 | 4277 | 592 | 4869 |
| საქკონსერვტრესტის ხაზით | 10 | 1000 | 190 | 1190 |

გარდა ამისა, უნდა შემცირდეს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში 17 საშტატო ერთეული 1306 მან. თანამდებობრივი განაკვეთით და 466 მან. პერსონალური დანამატით თვეში, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შტატების დასაკომპლექტებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 14 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 დეკემბრის № 1286 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 დეკემბრის № 1286 დადგენილებისა „სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სპეციალისტთა დაუსწრებელი მომზადების „შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 6 ივნისის № 309 დადგენილების 1 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

2. „მრეწველობისა და მშენებლობის ტექნიკუმებისადმი ხელმძღვანელობის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 30 ოქტომბრის № 678 დადგენილების მე-2 მუხლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 2 მარტი, № 101

## 15 აგარაკების ინდივიდუალური მშენებლობის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის № 1346 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აიკრძალოს ყველგან რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გამოყოფა მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური სააგარაკო მშენებლობისათვის.

2. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სახელმწიფო, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეწყვიტონ სააგარაკო ნაგებობათა მიყიდვა მოქალაქეებისათვის.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი იმ მიწის ნაკვეთების გამოყენებისადმი, რომლებიც მოქალაქეებს გამოეყოთ აგარაკების ინდივიდუალური მშენებლობისათვის. ყველა შემთხვევაში, როდესაც ადგილი ექნება მიწის ნაკვეთების გამოყენებას არაპირდაპირი დანიშნულებით (შენობების აგება იჯარით გაცემის მიზნით, მიწის ნაკვეთების გაყიდვა, კერძოდ, ნაკვეთების გაყიდვა შენობათა გაყიდვის სახით, დაქირავებული შრომის გამოყენება მიწის ნაკვეთების დასამუშავებლად და ა. შ.) ჩამოართვან მოქალაქეებს მათთვის გამოყოფილი ნაკვეთებით სარგებლობის უფლება და მისცენ ისინი პასუხისგებაში კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 2 მარტი, № 102

**16** **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 31 დეკემბრის № 1336 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ**

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 31 დეკემბრის № 1336 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 აგვისტოს № 877 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მთავრობის მიერ ფასების დაწესების წესის შეცვლის საკითხებზე მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ცვლილებანი, რათა შეტანილ იქნან ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილებაში „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის ფასების და ტექნიკური პირობების, გადაზიდვისა და მომსახურების ტარიფების დადგენის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 2 მარტი, № 107

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 2 მარტის № 107
დადგენილებით

## ცვლილებანი,

**რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილებაში „სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების და ტექნიკური პირობების, გადაზიდვისა და მომსახურების ტარიფების დადგენის წესის შესახებ“**

„სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების და ტექნიკური პირობების, გადაზიდვისა და მომსახურების ტარიფების დადგენის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 473 დადგენილებაში:

1. I მუხლის ქვეპუნქტი „დ“ მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

დ) კონცერტების და საესტრადო წარმოდგენათა ბილეთების ფასების დადგენის წესს, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრების ბილეთების ფასების დადგენის წესს“.

გარდა ამისა, დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი „ვ“.

„ვ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით იმ ელექტროენერგიის საანგარიშსწორებო ტარიფებს, რო-

მელსაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ენერგოსისტემა აძლევს სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ენერგოსისტემას“.

2. მუხლი V მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„V. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო ამტკიცებს:

ა) დროებით საბითუმო ფასებს საწარმოო-საექსპლუატაციო და სამშენებლო დანიშნულების მანქანათმშენებლობის სამრეწველო პროდუქციისა, რომელსაც ახლად ითვისებენ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი პრეისკურანტებით და განკუთვნილია მასობრივი ან მსხვილსერიული წარმოებისათვის, ამ პროდუქციის დასაკომპლექტებლად საჭირო ნაკეთობებისა და ცალკეული სახის საშენი მასალებისა (ჯგუფური ნომენკლატურით, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით);

ბ) საბითუმო ფასებს ინდივიდუალური ან წვრილსერიული წარმოების წესით გამოსაშვებად განკუთვნილი ნაკეთობებისა, უკეთუ ამ ნაკეთობებზე არ არსებობს დადგენილი წესით დამტკიცებული საბითუმო ფასები;

გ) საბითუმო ფასებს იმ პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატებისა, რომლებიც მზადდება სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის კოოპერაციის წესით, თუ ამ პროდუქციაზე არ არსებობს დადგენილი წესით დამტკიცებული ფასები;

დ) საბითუმო და საცალო ფასებს ახალი ქსოვილებისა და სხვა საფეიქრო და სატრიკოტაჟო ნაკეთობებისა, რომლებიც დამზადებულია საწარმოების მიერ დროებითი ტექნიკური პირობების მიხედვით საბითუმო პარტიების სახით 500 ათასი მანეთის ოდენობით თითოეული პარტია. საცალო ფასები დამტკიცდება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასები დაწესდება წინათ ათვისებული ანალოგიური ანდა კონსტრუქციის ან დანიშნულების მხრივ მსგავსი პროდუქციის მოქმედი საბითუმო ფასების დონის შესაბამისად, შესწორებით უფრო მაღალ მწარმოებლურობაზე, აგრეთვე სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ უპირატესობებზე ახლად გამოშვებული პროდუქციის მომხმარებლებისათვის (წარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯების შემცირება, გამოშვებულ ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესება, შრომის პირობების შემსუბუქება); დროებითი საბითუმო ფასები პრინციპულად ახალი სახის პროდუქციისა, რომელსაც არა აქვს ანალოგია წინათ ათვისებულ პროდუქციასთან, დაწესდება გეგმური თვითღირებულებისა და რენტაბელობის საფუძველზე 5 პროცენტამდე ოდენობით. ამასთან მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების სამოქალაქო პროდუქციის ხაზით, გარდა გემებისა, ლოკომოტივებისა, მაგისტრალური სატვირთო ვაგონებისა, სამოქალაქო საჰაერო ფლოტისათვის საჭირო თვითმფრინავებისა და საავიაციო ძრავებისა, ახალი ტექნიკის საცდელი ეგზემპლარებისა (პარტიებისა), რომლებიც ერთჯერადი (ერთეული) შეკვეთებით მზადდება, ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, გეგმურ თვითღირებულებაში, რომელიც მიღებულია დროებითი საბითუმო ფასების ბაზად, არ შედის ის დანახარჯები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად ანაზღაურებულ უნდა იქნან ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის სახსრებიდან.

უკეთუ საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ წარმოებს ისეთი სამრეწველო პროდუქციის მიწოდება, რომლის რაოდენობა არ არის წარმოების წლიური გეგმის ერთ მესამედზე ნაკლები, დროებითი საბითუმო ფასები დაწესდება ძირითად შემკვეთთან — სხვა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროსთან ან უწყებასთან შეთანხმებით".

3. მე-3 მუხლში სიტყვა „კოოპერაციული" შეიცვალოს სიტყვებით: „სამომხმარებლო კოოპერაციის".

4. მე-4 მუხლში ამოირიცხოს სიტყვები „სარეწაო და", „საქსარეწსაბჭო" და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოები".

5. მე-5 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„5. სსრ კავშირში პირველად ასათვისებელი სამრეწველო პროდუქციის დროებითი საბითუმო ფასები, რომლებიც მტკიცდება ამ დადგენილების V მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით, დაწესდება შემდეგი ზღვრული ვადებით:

ა) იმ პროდუქციისა, რომლის სერიული წარმოება დაწყებულია მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, — შემდეგი წლის 30 ივნისამდე;

ბ) იმ პროდუქციისა, რომლის სერიული წარმოება დაწყებულია მიმდინარე წლის II და III კვარტალებში, — შემდეგი წლის დეკემბრამდე;

გ) იმ პროდუქციისა, რომლის სერიული წარმოება დაწყებულია მიმდინარე წლის IV კვარტალში, — წელიწადნახევრამდე ვადით, დაწყებული შემდგომი წლის 1 იანვრიდან.

სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ დროებითი საბითუმო ფასების დამტკიცება, მოვალენი არიან თავიანთ დადგენილებებში აღნიშნონ ამ ფასების მოქმედების ვადები.

6. მუხლი 6 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6. იმ პროდუქციის მუდმივი საბითუმო ფასების პროექტები, რომელზედაც დაწესებულია დროებითი საბითუმო ფასები, წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ამ პროდუქციის სერიული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს რვა თვის ვადისა; ისეთ ნაკეთობებზე, რომელთა წარმოების ციკლი აქვს და მეტ თვეს უდრის, აღნიშნული პროექტები წარდგენილი იქნება იმ დროიდან არა უგვიანეს ორი თვის ვადისა, რაც გაიგზავნა ნაკეთობათა პირველი პარტია (სერია).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია ერთი თვის ვადაში განიხილავენ ფასების წარმოდგენილ პროექტებს და, თუ პროდუქციის ფასები უნდა დაამტკიცონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, წარუდგენენ მათ თავიანთ წინადადებებსა და პრეისკურანტების პროექტებს“.

## 17 **იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები**

იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში და გაძლიერდეს მათი დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გადიდებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 20 იანვრის № 56 დადგენილებით დააწესა 1961

წლის 1 იანვრიდან იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ახალი ფასები, რომლებსაც ეს მეურნეობები აბარებენ სახელმწიფოს.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას 1961 წლის 1 იანვრიდან ჩასაბარებელი ფასები:

ა) მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას თესლისა, რომლებსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები, № 1 დანართის თანახმად;

ბ) ჯაგრისა, ცხენის და ძროხის ბალნისა, ნაღვერბალნისა, ბოცვრის ბეწვისა, ბუმბულისა და ფრთისა, ჩაის კულტურის თესლისა, ჩაის საყალიბო მასალისა კოფეინისათვის, უხეში ჩაის ფოთლისა, დაფნის ფოთლისა, ბაღჩეული კულტურებისა, თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფისა, ხმელი ხილისა, კაკლისა, ყურძნისა, ერთწლიან და მრავალწლიან ბალახების თესლისა თივისა, ჩალისა, ლუფისა, ტუნგოსი, ყველისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისა და ნედლეულისა, რომლებსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები და საწარმოები, № 2 დანართის თანახმად.

2. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 20 იანვრის № 56 დადგენილებით:

ა) დააწესა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის, შინაური ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის (რომელსაც სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციები აბარებენ), ნადირის ტყავის (გარდა ნუტრიისა), ბოცვრის ტყავის, ტყავნედლეულის, ბეწვეულისა და საქურქე ცხვრის ტყავის ჩათვლით, ნაწლავნედლეულის, შაქრის ჭარხლის, ნედლი ბრინჯის, ფეტვის, წიწიბურას, ბარდის, ოსპის, ლობიოს, მაშა ლობიოს, ცერცვის, მუხუდოს, თეროს, ასლის, სამარცვლე სორგოს, ჯუგარის, საფურაჟე ცერცველის, სოიის, ზეთოვანი სელის, მდოგვის, მჭადა სოკოს, შირბახტის, რაფსის, აბუსალათინის, ეთერზეთოვანი კულტურების, სვიის, კანაფის პროდუქციის, ჯუთის. კენაფის, თუთისა და მუხის აბრეშუმის ჭიის პარკის, წეკოს ნედლეულის, თამბაქოს, წეკოს თესლი, ყველა ჯიშის ცხვრის უხეში მატყლის (გარდა კარაკულის ცხვრის მატყლისა), თხის ბეწვის, აქლემის ყელის მატყლის, თხის ბალნის და სხვა სახის მატყლისა და ბუმბულის ჩასაბარებელი ფასები კოლმეურნეობებისათვის დამტკიცებული შესასყიდი ფასე-

ბის დონეზე, ხოლო ნაზი მატყლისა — კოლმეურნეობებისათვის დამტკიცებული შესასყიდი ფასების 18 პროცენტით, ნა[illegible] მატყლისა — 17 პროცენტით და ნახევრადმქისე მატყლისა — 10 პროცენტით ნაკლები;

ბ) ძალაში დატოვა ღორის, რძის, (აგრეთვე რძის ანაზღაურების პირობები) კარაკულის ცხვრის მქისე მატყლის, ნედლი ბამბის, სართავი სელის პროდუქციის, შვრიის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ჩაის ფოთლის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის თესლის, ნუტრიის ტყავის მოქმედი ჩასაბარებელი ფასები, აგრეთვე იმ საკვები კვერცხის ანაზღაურების პირობები, რომელიც უშუალოდ ბარდება სავაჭრო ორგანიზაციებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, საბავშვო და სხვა დაწესებულებებს;

გ) ძალაში დატოვა დამამზადებელი ორგანიზაციების პუნქტებში პროდუქციის მიტანისათვის საბჭოთა მეურნეობების ხარჯების ანაზღაურების მომქედი პირობები;

დ) გააუქმა წესი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა მეურნეობებს ეძლეოდათ დამატებითი საზღაური მატყლისათვის;

ე) დააწესა, რომ 1961 წელს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების ანარიცხები არ შეიცვლება და იწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობით.

3. დამამზადებელმა ორგანიზაციებმა იმ საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ანგარიშის გასწორების დროს, რომლებიც სახელმწიფოს აბარებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ნედლეულს, იხელმძღვანელონ პრეისკურანტით, რომელსაც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გამოსცემს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 იანვრის № 56 დადგენილების შესაბამისად.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ სახალხო-სამეურნეო გეგმაში და საქართველოს სსრ ბიუჯეტთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთ ანგარიშსწორებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი ჩასაბარებელი ფასების დაწესებით, აგრეთვე 1961 წლის 1 თებერვლიდან სათადარიგო ნაწილების, ბენზინის და სასოფლო-სამეურ-

ნეო ტექნიკის ფასების შემცირებით საკავშირო მთავრობამ დიდი მატერიალური დახმარება გაუწია საბჭოთა მეურნეობებს და შექმნილია საჭირო პირობები საბჭოთა მეურნეობების მუშაობის რენტაბელობის უზრუნველსაყოფად.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოსა და მის ტრესტებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ფართოდ განუმარტონ საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სპეციალისტებს, რომ საბჭოთა მეურნეობებისათვის გაწეული დახმარება უნდა გახდეს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომითი აქტივობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი სტიმული, რათა საგრძნობლად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და შემცირდეს მისი თვითღირებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ შეიმუშაონ და განახორციელონ თვითეული საბჭოთა მეურნეობის მიხედვით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომ აღმავლობას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებას და საბჭოთა მეურნეობების მთელი შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.

მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 მარტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **Გ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **Ა. ᲤᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 2 მარტი, № 110

მუხ. 17

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 2 მარტის № [illegible]
დადგენილების დანართი № 1

## **ჩასაბარებელი ფასები**

### მარცვლეული კულტურებისა და მზესუმზირას თესლისა, რომლებსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები

(ფრანკო-საბჭოთა მეურნეობა მანეთობ. საბაზისო კონდიციის ერთი ტონა მარცვალში)

| | |
|---|---|
| რბილი ხორბალი | 40—45 |
| ქვავი | 34—40 |
| საკვები ქერი | 27—00 |
| მზესუმზირას თესლი | 70—00 |

სიმინდი: კაჟა თეთრი და ყვითელი — 55 მანეთი, კბილა თეთრი და ყვითელი, რბილი სიმინდი, ფერით ერთტიპური — 40 მანეთი, ნაირტიპური (ნარევი) — 35 მანეთი.

მაგარი და ძლიერი ჯიშების ხორბლის საზღაური 40 პროცენტით აღემატება რბილი ხორბლის ფასს, ხოლო ლუდსახდელი ჯიშების ქერისა — 20 პროცენტით, რბილი ხორბლის ფასს (ქერის ჯიშების სიით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად).

ღომი (ჩუმიზა) ანაზღაურდება ფეტვის ფასად.

ხარისხით უფრო ძვირფასი ჯიშების მარცვლეული კულტურების მარცვლის საზღაური (იმ სიით, რომელსაც ყოველწლიურად ამტკიცებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად) 10 პროცენტით აღემატება შესაბამის მარცვლეულ კულტურებზე დაწესებულ ფასებს.

შენარჩუნებულ იქნას სხვადასხვა კულტურების და ტიპების მარცვლის ბუნებრივი ნარევებისა და არასრულფასოვანი მარცვლის ანაზღაურების მოქმედი წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 2 მარტის № 110
დადგენილების დანართი № 2

# ჩასაბარებელი ფასები

## ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა, რომლებსაც აბარებენ სახელმწიფოს საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები

### ჩასაბარებელი ფასები

ჯაგრისა, ცხენის და ძროხის ბალნისა, ნაღვერბალნისა და ძვლისა

| ნედლი ჯაგარი და დაუხარისხებელი ნაცვენი | (მანეთობ. და კაპ. კილოგრამში) |
|---|---|
| ზურგის | 4--00 |
| გვერდის | 3—00 |
| ბუმბული | 0—50 |
| **ცხენის ძუა** | |
| ძარღვაკი | 1—50 |
| ნაწნავი | 1—20 |
| განაკრეფი | 0 -80 |
| შემონაკრეჭი | 1—00 |
| ფაფარი | 0—50 |
| ცხენის შინდაო | 0—70 |
| გაბრა | 0—70 |
| ჩამონავარცხნი | 0—40 |
| ნაცვენი ბალანი | 0—40 |
| სალეიბო | 0 -40 |
| **ძროხის ბალანი** | |
| კუდის ნაკრეჭი გაურეცხავი | 0—60 |
| იაკის ბალანი | 0—80 |
| კამეჩის ბალანი | 0—70 |
| ყურის ბალანი | 2—00 |
| კუდის ნაკრეჭი გარეცხილი | 0—80 |
| **ნაღვერბალანი** | |
| ძროხისა | 1—80 |
| ცხენისა | 1—50 |

| ძვალი | (მან. ტონაში) |
|---|---|
| სანაკეთობო | 70—00 |
| რიგითი | 40—00 |

### ბუმბულისა და ფრთის ჩასაბარებელი ფასები

| | (მან. და კაპ.) კილოგრამში |
|---|---|
| ბატის ბუმბული ახალი, თეთრი და რუხი 100 პროც. | 5—20 |
| ბატის ფრთა ახალი თეთრი და რუხი 100 პროც. | 2—00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | (მან და კაპ. კილოგრამში) |
|---|---|
| იხვის ბუმბული ახალი, თეთრი და რუხი 100 პროც. . . . . . | 4—00 |
| იხვის ფრთა ახალი, თეთრი და რუხი 100 პროც. . . . . | 1—60 |
| ქათმის, ინდაურის და გარეული ფრინველის ფრთა ახალი . . . | 0—90 |
| ბატის წვრილი ფრთის გერმა . . . . . . . . . . . . | 1—80 |
| ყოველგვარი ფრინველის ფრთის ქვეშურა . . . . . . . . . | 0–20 |

**შენიშვნები:** 1. ბატის ბუმბული, იხვის ბუმბული, ბატის ფრთა და იხვის ფრთა ნახმარი, ახალ ბუმბულსა და ფრთაზე 15 პროცენტით უფრო იაფად ფასობს.

2. თუ ბატისა და იხვის წვრილი ფრთა ურევია ბუმბულში, მაშინ ხდება ჩამოკლება შესასყიდი ფასიდან — ბატის ერთ კილოგრამ ბუმბულში ფრთის თვითეული პროცენტის შემცველობისათვის — 3 კაპიკი და იხვისა — 2 კაპიკი.

3. თუ ბატის წვრილი ფრთა შეიცავს 5 პროცენტზე მეტი რაოდენობის ბუმბულს, მაშინ შესასყიდ ფასს წაემატება ერთ კილოგრამ ბატის ფრთაში ბუმბულის შემცველობის ყოველ პროცენტზე 3 კაპიკი და იხვისა — 2 კაპიკი.

4. უკეთუ ბატის, იხვისა და ქათმის ბუმბულში ფრთის ქვეშურა 3 პროცენტს აღემატება, მაშინ შესასყიდ ფასს ჩამოაკლდება — ბატის ერთ კილოგრამ ფრთაში ფრთის ქვეშურის შემცველობის ყოველ პროცენტზე — 2 კაპიკი, იხვისა — 1 კაპიკი და ქათმისა — 1 კაპიკი.

5. უკეთუ ბატისა და იხვის ფრთაში შერეულია მსხვილი ფრთა, მაშინ შესასყიდ ფასს ჩამოაკლდება — ბატის ფრთის ერთ კილოგრამში მინარევის ყოველ პროცენტზე — 4 კაპიკი და იხვისა — 2 კაპიკი.

| ბოცვრის ბეწვის ჩასაბარებელი ფასები | (მან და კაპ. კილოგრამში) |
|---|---|
| ექსტრა . . . . . . . . . . . . | 26—00 |
| ექსტრა დეფექტიანი . . . . . . . . . . | 20–60 |
| I ხარისხი . . . . . . . . . . . . | 20—00 |
| I ხარისხი დეფექტიანი . . . . . . . . . | 16—00 |
| II ხარისხი . . . . . . . . . . . . | 16—00 |
| II ხარისხი დეფექტიანი . . . . . . . . . | 13—00 |
| III ხარისხი . . . . . . . . . . . . | 8—00 |
| III ხარისხი დეფექტიანი . . . . . . . . . | 5–00 |
| წ უ ნ ი . . . . . . . . . . | 3—00 |

| ჩასაბარებელი ფასები ჩაის კულტურის თესლისა, ჩაის საყალიბო მასალისა და დაფნის ფოთლისა | (მან და კაპ. კილოგრამში) |
|---|---|
| ჩაის ფოთოლი მოუხეშო (მოსაპირკეთებელი მასალა) . . . . . | 0–30 |
| უხეში ჩაის ფოთოლი . . . . . . . . . . . . | 0–23 |
| ჩაის თესლი . . . . . . . . . . . . | 1–00 |
| ჩაის საყალიბო მასალა კოფეინისათვის . . . . . . . . | 0–08 |
| ჩაის კულტურის თესლი სამრეწველო გადამუშავებისათვის . . . | 0–70 |
| დაფნის ფოთოლი ხმელი . . . . . . . . . . . . | 8–00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩასაბარებელი ფასები ბალჩეული კულტურებისა**

(მანეთობით ტონაში)

| | ფასის მოქმედების ვადა | ჩასაბარებელი ფასი |
|---|---|---|
| საზამთრო | 1 აგვისტომდე | 150 |
| | 1 აგვისტოს შემდეგ | 50 |
| ნესვი | 1 აგვისტომდე | 250 |
| | 1 აგვისტოს შემდეგ | 150 |
| გოგრა | დამზადების დაწყებიდან | 75 |

**ჩასაბარებელი ფასები ციტრუსოვანთა კუტურების ნაყოფისა**

(მანეთობ. ტონაში,
სტანდარტული ლიმონისა — ათას ცალში)

| | სტანდარტული | არასტანდარტული |
|---|---|---|
| მანდარინი | 650 | 140 |
| ფორთოხალი: | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი | 800 | 150 |
| II პომოლოგიური ჯგუფი | 600 | 150 |
| ფეიხოა | 800 | — |
| გრეიპფრუტი | 300 | — |
| ციტრონი | 200 | — |
| კინკანი | 300 | — |
| ლიმონი უველაზე მეტი განივი დიამეტრის ზომით და პომოლოგიური ჯგუფების მიხედვით: | | |
| 70 მ/მ-დან და მეტი: I ჯგუფი | 250 | 300 |
| II ჯგუფი | 150 | 250 |
| 70 მ/მ-ზე ნაკლები 60 მ/მ-მდე ჩათვლით: I ჯგუფი | 200 | 300 |
| II ჯგუფი | 120 | 250 |
| 60 მ/მ-ზე ნაკლები 51 მ/მ-მდე ჩათვლით: I ჯგუფი | 150 | 300 |
| II ჯგუფი | 90 | 250 |
| 51-ზე ნაკლები 45 მ/მ-მდე ჩათვლით: I ჯგუფი | 120 | 300 |
| II ჯგუფი | 70 | 250 |
| 45-ზე ნაკლები 42 მ/მ-მდე ჩათვლით: I ჯგუფი | 80 | 300 |
| II ჯგუფი | 50 | 250 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩასაბარებელი ფასები ხილისა და ხმელი ხილისა

(მანეთობ. ტონაში)

| | | სტანდარტული | | არასტან-დარტუ-ლი |
|---|---|---|---|---|
| | | I ხარისხი | II ხარისხი | |
| **ვაშლი** | | | | |
| საზაფხულო ჯიშები | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 280 | 220 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 220 | 180 | |
| III პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 180 | 150 | |
| შემოდგომა -ზამთრის ჯიშები | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 450 | 380 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 360 | 300 | |
| III პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 250 | 200 | |
| არასტანდარტული ვაშლი | | | | |
| 1 სექტემბრამდე . . . . . . | | — | — | 80 |
| 1 სექტემბრის შემდეგ . . . . . | | — | — | 100 |
| საზამთრო ჯიშები I და II პომოლოგიური ჯგუფები 1 ოქტომბრიდან . | | — | — | 150 |
| **მსხალი** | | | | |
| საზაფხულო ჯიშები | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 280 | 220 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 220 | 180 | |
| III პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 150 | 100 | |
| შემოდგომა-ზამთრის ჯიშები | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 450 | 380 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 360 | 300 | |
| III პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 200 | 160 | |
| მსხალი არასტანდარტული 1 სექტემბრამდე . . . . . . . . | | — | — | 80 |
| 1 სექტემბრის შემდეგ . . . . . | | — | — | 100 |
| **ქლიავი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 300 | 200 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 200 | 150 | |
| **ატამი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 500 | 350 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 300 | 200 | |
| **გარგარი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 300 | 200 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 200 | 150 | |
| ბალის შინდი . . . . . . . | 300 | — | — | |

| | | სტანდარტული | | არასტან-დარტუ-ლი |
|---|---|---|---|---|
| | | I ხარისხი | II ხარისხი | |
| **კომში** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 300 | 250 | 100 |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 250 | 200 | |
| **ბალი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 300 | 240 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 200 | 160 | |
| **ალუბალი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 350 | 280 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 250 | 200 | |
| **ტყემალი, ალუჩა, მერაბელი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | 200 | — | — | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 150 | — | — | |
| **ნუში** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | | 1000 | 800 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | | 900 | 720 | |
| უნაბი . . . . . . . . | 600 | — | — | |
| **ბროწეული** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | 300 | — | — | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 200 | — | — | |
| **სუბტროპიკული ხურმა** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | 200 | — | — | 50 |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | 150 | — | — | 50 |
| სუბტროპიკული ზღმარტლი | 250 | — | — | — |
| თუთა მსხვილი . . . | 130 | — | — | — |
| თუთა წვრილი . . . . | 100 | — | — | — |
| ბალის ზღმარტლი | 250 | — | — | — |
| **თხილი** | | | | |
| I პომოლოგიური ჯგუფი . . . | — | 800 | 600 | |
| II პომოლოგიური ჯგუფი . . . . | — | 600 | 400 | |
| კაკალი . . . . . . . . | — | 800 | 600 | |
| მწვანე კაკალი . . . . . | 150 | — | — | |
| ლეღვი . . . . . . . | 300 | — | — | 150 |
| **ხმელი ხილი** | | (მანეთობ. კილოგრ.) | | |
| ქლიავის ჩირი გარდა შავი ქლიავისა . | 0—80 | — | — | — |
| ატმის ჩირი . . , . . . . . | 0—80 | — | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | სტანდარტული | | არასტანდარტული |
|---|---|---|---|---|
| | | I ხარისხი | II ხარისხი | |
| ვაშლისა და მსხლის ჩირი უქერქო და უგულგულო | 0—80 | — | — | — |
| ვაშლისა და მსხლის ჩირი ქერქიანად და გულგულიანად | 0—50 | — | — | — |
| ალუბალი ხმელი | 1—00 | — | — | — |
| ბალი ხმელი | 0—80 | — | — | — |
| შინდი ხმელი | 0—50 | — | — | — |
| ღღღვის ჩირი | 1—00 | — | — | — |
| სუბტროპიკული ხურმა ხმელი | 1—00 | — | — | — |
| შავქლიავას ჩირი | — | 1—20 | 0—80 | — |

შენიშვნები:

1. ფასები დაწესებულია უკურკო ხმელ ხილზე; კურკიან ხმელ ხილზე დაწესებული ფასები შემცირდება 20 პროცენტით.

2. მესამე ხარისხის ვაშლზე გაიცემა მეორე ხარისხის ფასის 25 პროცენტით ნაკლები.

ისეთი უხარისხო ვაშლის ჩასაბარებელი ფასები, რომელიც გამოსადეგია ტრანსპორტირებისა და რეალიზაციისათვის ახალი სახით, დაწესებულია პირველი ხარისხის შესაბამისი ჯგუფების ჩასაბარებელი ფასების 50 პროცენტის ოდენობით.

3. ახალ ვაშლსა და მსხალში, რომელსაც 15 დეკემბრის შემდეგ ყიდულობენ, გაიცემა დაწესებული ჩასაბარებელი ფასების ფულადი დანამატი შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე | 10 პროცენტი |
| 15 იანვრიდან 15 თებერვლამდე | 20 პროცენტი |
| 15 თებერვლის შემდეგ | 30 პროცენტი |

4. კენკრის შესყიდვა წარმოებს დამზადების ადგილას მდებარე საკოლმეურნეო ბაზრებზე შექმნილ ფასებში.

### თესლოვანი, კურკოვანი და ციტრუსოვანი ნაყოფის პომოლოგიური ჯიშების განაწილება ჯგუფების მიხედვით

### ვაშლი

I ჯგუფი — შამპანური რენეტი, ბაუმანის რენეტი, კალვილი თეთრი საზამთრო, ლონდონის პეპინი, კანდილ-სინაპი, ოქროს ზამთრის პარმენი (შაფრანი), ვაგნერი საჯილდოო, ნაპოლეონი, რენეტი დიდი კასელის, რენეტი ორლეანური, კალვილი წითელი საზამთრო, ქართული სინაპი, ბანანი საზამთრო, როზმარინი თეთრი, კეხურა, კანადის რენეტი, ბელფლერი ყვითელი, ნარინჯოვანი კოქსის რენეტი, სიმირენკოს რენეტი.

II ჯგუფი — რუხი ფრანგული რენეტი (ნაცარა, ჟანგარა), ბოიკენის რენეტი, კიტრა, დედოფლის მოკლეკუნწა, მამული, ყინულა, რკინა ვაშლი (დამირ ალმა), თურაშაული, ყირიმულა, ობერდიკის რენეტი, სარი-სინაპი, აბილაური, მერეთულა, მუხურულა, ლიმონის ვაშლი, მსუქანა, ლაგოდეხური რენეტი, აპორტი, ლეზანის კალვილი, ბელფლერი „კიტაიკა“, ხანდაკურა, ანანასის რენეტი, ასტრახანის თეთრი, ლანდსბერგის რენეტი, პარკერის პეპინი, მონტუანის, აჭარული წითელი, ასტრახანის წითელი, კარანფილი (მიხაკის ვაშლი), ოქროს მზესუმზირა, წითელი კალვილი საშემოდგომო, სუისლეპის.

III ჯგუფი — ვაშლის ყველა დანარჩენი საზაფხულო, საშემოდგომო და საზამთრო კულტურული ჯიშები.

### მ ს ხ ა ლ ი

I ჯგუფი — ბერე-არდანპონი, ოლივიე დე სერ, ტულუზა, საზამთრო დიუშეს დე ანგულემი, პას-კრასანი, ვილიამსი (დოენე), ვილიამსი საზამთრო (კიურე), კაიფერის თესლნერგი, სოხუმის დიუშესი, ნანაზირი, გარძამა, მილახურა, საზამთრო დეკანკა, ბერე-ბოსკი, ბერედილი, სან-ჟერმენი, ბერე-გარდი, ჟოზეფინა მიხალსაკია.

II ჯგუფი — ხეჭეჭური, გოხა მსხალი, თავრიზულა, ანჟუის მზეთუნახავი, კეთილი ლუიზა, შემოდგომის დეკანკა, გულაბები, კლაპის ფავორიტი, ესპარენის ბერგამოტი, მადამ ფრანსუა.

III ჯგუფი —მსხლის ყველა დანარჩენი კულტურული ჯიშები,

### ბ ა ლ ი

I ჯგუფი — დროგანა ყვითელი, თათრული შავი, ნაპოლეონი ვარდისფერი, ხარის გული, ადგილობრივი საადრეო, ესპარენის ბიგარო.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ა ლ უ ბ ა ლ ი

I ჯგუფი— პოდბელსკაია, ქართული, მსხვილი შპანკა, ინგლისური საადრიო.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### კ ო მ შ ი

I ჯგუფი — მალაჩინა, ქართული მომჟაო-მოტკბილო, საკომპოტე ლაგოდეხური მსხვილნაყოფა.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ქ ლ ი ა ვ ი

I ჯგუფი — უნგრულა იტალიური, მწვანე რენკლოდი, ანა შპეტი, ატამურა, ალტანის რენკლოდი, დიდი ჰერცოგი, ეკატერინე.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ტ ყ ე მ ა ლ ი

I ჯგუფი — გულდედავა, ყველა მსხვილნაყოფა ბალის ჯიშები.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### გ ა რ გ ა რ ი

I ჯგუფი — წითელი პარტიზანი, შალახი, ალიპრიალა, შირაზული, ალჯანაბადი, ყაისი.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ა ტ ა მ ი

I ჯგუფი — გავაზური, ოქროს იუბილე, სოხუმის საგვიანო ყვითელი, ხიდისთაური თეთრი, ჩემპიონი, ელბერტა, ხიდისთაური ვარდისფერი, ბესტავაშვილი, წედისური, ხიდისთაური ყვითელი საგვიანო, მოლოზანი (ბერების ატამი), გუდაუთური საკონსერვო, ხირსული, კახური თეთრი, კამბერლენდი, სკრის საადრეო, ერისთავი ვარდისფერი, გორული საადრეო, ამსდენი.

II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ბ რ ო წ ე უ ლ ი

I ჯგუფი — ყველა მსხვილნაყოფა ბალის ჯიში.

II ჯგუფი — ყველა წვრილნაყოფა ბალის ჯიში.

მუხ. 17
ეროვნული
ბიბლიოთეკა

### სუბტროპიკული ხურმა

I ჯგუფი — ჩინებული, მეოცე საუკუნე, ხიაკუმე (წითელხორცა), ხაჩია.
II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ნუში

I ჯგუფი — თხელნაჭუჭიანი ტკბილი ჯიშები.
II ჯგუფი — სქელნაჭუჭიანი ტკბილი ჯიშები.

### თხილი

I ჯგუფი — ტერასუნდი, ბადემი, (ტიტა), შვლისყურა, ცხენის ძუძუ, ხაჭაპური, ანაკლია, ლომბარდიის თეთრი, ლომბარდიის წითელი.
II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ლიმონი

I ჯგუფი — ახალქართული, ევრიკა, ვილა-ფრანკა, ლისბონი.
II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ფორთოხალი

I ჯგუფი — ვაშინგტონ ნაველი, კოროლიოკი.
II ჯგუფი — ყველა დანარჩენი ჯიში.

### ყურძნის ჩასაბარებელი ფასები

| ყურძნის ჯიშები | საბაზისო შაქრიანობა ტკბილში (პროცენტულად) | ფასი მანეთობ. ტონაში |
|---|---|---|
| **ტექნიკური ჯიშები** | | |
| რქაწითელი | | |
| კახეთის რაიონებში . . . . . . . . | 19 | 340 |
| საქართველოს დანარჩენ რაიონებში . . . . | 19 | 320 |
| საფერავი | | |
| სუფრის ღვინოებისათვის . . . . . . | 19 | 440 |
| ნახევრადტკბილი ღვინოებისათვის . . . | 23 | 530 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| ყურძნის ჯიშები | საბაზისო შაქრიანობა ტკბილში (პროცენტულად) | ფასი მანეთობ. ტონაში |
|---|---|---|
| მწვანე | | |
| სუფრის ღვინოებისათვის | 19 | 440 |
| ნახევრადტკბილი ღვინოებისათვის | 22 | 530 |
| კაბერნე | 19 | 440 |
| ხიხვი | 20 | 520 |
| თავკვერი | 18 | 325 |
| ცოლიკაური | 19 | 325 |
| კრახუნა | 20 | 500 |
| ოცხანური საფერე | 19 | 400 |
| კაჭიჭი | 19 | 380 |
| ძველშავი | 19 | 300 |
| მგალობლიშვილი | 19 | 300 |
| ალადასტური | 19 | 400 |
| ავასირხვა | 19 | 350 |
| იზაბელა | 16 | 200 |
| ალექსანდროული | 23 | 530 |
| რაჭული თეთრა | 21 | 490 |
| ტვიშის ცოლიკაური | 22 | 490 |
| უსახელაური | 23 | 530 |
| ჩხავერი | 22 | 530 |
| ოჯალეში | 21 | 520 |
| მუჯურეთული | 23 | 530 |
| ციცქა | | |
| სუფრის ღვინოების წარმოებისათვის | 19 | 330 |
| შამპანური ღვინოების წარმოებისათვის | 16—19 | 400 |
| პინო | 16—19 | 600 |
| ჩინური | 16—19 | 450 |
| გორული მწვანე | 16—19 | 400 |
| ალიგოტე | 16—19 | 450 |
| შავკაპიტო | 16—19 | 350 |
| ქვიშხური | 16—19 | 400 |
| დანარჩენი ტექნიკური ჯიშები | | |
| კახეთის რაიონებში | 19 | 260 |
| საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში | 18 | 240 |
| **სუფრის ჯიშები** | | |
| თავრიზი | 17—18 | 400 |
| დანარჩენი სუფრის ჯიშები | 17—18 | 360 |
| ჰიბრიდული ჯიშები | 16 | 150 |

**შენიშვნები:** ციცქას ჯიშის ყურძენი შამპანური ღვინოების წარმოებისათვის მზად-დება შემდეგ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებში: ორჯონიკიძის, საჩხერის და ჭიათურის რაიონებში ყველგან; თერჯოლის რაიონის ჩხარის, ძევრისის, ალისუბნის, გოგნისის, ზედა საზანოს, თუზის სასოფლო-საბჭოებში ყველ-გან და ახალთერჯოლის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „ნაპერწკალში“; ზესტაფონის რაიონში: ქვედასაზანოს, ზოვრეთის, კვალითის, ბოსლევის სა-სოფლო საბჭოებში აგრეთვე ყველა იმ სასოფლო საბჭოში, რომლებიც ვაჰევისა და ძირულის ღვინის ქარხნების მოქმედების ზონაში შედიან.

ტექნიკური ჯიშების ყურძნისათვის (გარდა შამპანურისა), რომელიც შეი-ცავს შაქარს 25 პროცენტამდე, გაიცეს ჩასაბარებელი ფასის დანამატი 6 პრო-ცენტის რაოდენობით ყურძენში (ტკბილში) შაქრის შემცველობის ყოველ პროცენტზე შაქრიანობის დაწესებული კონდიციების ზევით. ტექნიკური ჯიშების ყურძნისათვის (გარდა შამპანურისა), რომელიც შეიცავს 25 პრო-ცენტზე მეტ შაქარს, გაიცეს ჩასაბარებელი ფასის დანამატი 10 პროცენტის რაოდენობით 25 პროცენტზე ზევით ყურძენში (ტკბილში) შაქრის შემცვე-ლობის ყოველ პროცენტზე.

თუ ტექნიკური ჯიშების ყურძენი (გრდა შამპანურისა) შეიცავს ნაკლებ შაქარს, მაშინ ჩასაბარებელ ფასს ჩამოაკლდება 6 პროცენტი შაქრის ყო-ველ პროცენტზე, რაც ყურძენს (ტკბილს) აკლია დაწესებულ კონდიციებამდე.

შამპანური ჯიშებისათვის ყურძნის მჟავიანობა წესდება 7—10 პროცენ-ტის ოდენობით. ძირითადი ჩასაბარებელი ფასი დაწესებულია ყურძენზე, რომელსაც იყენებენ შამპანური ღვინოების წარმოებისათვის და რომელიც შეესაბამება მრეწველობის მოთხოვნებს შაქრიანობისა და საერთო მჟავი-ანობის მხრივ. პინოს, ჩინურის, გორული მწვანის, ალიგოტეს, შავკაპიტოს, ქვიშხურის და ციცქას ჯიშის ყურძნისათვის, რომელსაც იყენებენ შამპანური ღვინოების საწარმოებლად, ძირითადი ჩასაბარებელი ფასი მიეკუთვნება ყურძენს, რომლის შაქრიანობა 16—19 პროცენტს უდრის. თუ შაქრიანობა შემცირებულია 16 პროცენტზე ნაკლებად და გადიდებულია 19 პროცენტზე მეტად, ყურძნის ჩასაბარებელ ფასს ჩამოაკლდება 10 პროცენტი ყურძნის შაქრიანობის გადიდების (19 პროცენტზე ზევით) ან შემცირების (16 პრო-ცენტზე ნაკლებ) ყოველ პროცენტზე.

ტექნიკური ჯიშების ყურძენი, რომელიც შეიცავს ავადმყოფობით, მავ-ნებლებით დაზიანებულ ან დაჭყლეტილ და დასრესილ მარცვლებს 10-დან 20 პროცენტამდე, ანაზღაურდება ყურძნის ჩასაბარებელი ფასის 20 პრო-ცენტის დაკლებით, ხოლო ყურძენი, რომელიც შეიცავს 20 პროცენტზე მეტ დაზიანებულ მარცვლებს — 40 პროცენტის დაკლებით.

II ხარისხის სუფრის ყურძენი ანაზღაურდეს I ხარისხის ყურძნის ჩასა-ბარებელ ფასად 20 პროცენტის დაკლებით. სუფრის ყურძენი, რომელიც რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს შე-იძლება მიღებულ იქნას გადასამუშავებლად I ხარისხის ყურძნის ჩასაბარებე-ლი ფასიდან 30 პროცენტის დაკლებით.

### ჩასაბარებელი ფასები ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესლზე

ბიბლიოთეკა

| | მანეთობ. და კაპ. კილოგრამში |
|---|---|
| ესპარცეტი | 0—24 |
| ცერცველა | 0—12 |
| მოჰარი | 0—10 |
| იონჯა ლურჯი | 1—60 |
| იონჯა ცისფერი | 2—40 |
| იონჯა ყვითელი | 2 00 |
| სამყურა წითელი | 1—60 |
| ტიმოთელა | 0—80 |
| სუდანურა | 0—24 |
| კოინდარი (მაღალი) | 0—80 |
| კოინდარი (მრავალსათიბი) | 0—64 |

### თივის, ჩალისა და ლუფის ჩასაბარებელი ფასები

#### თ ი ვ ა

| | მანეთობ და კაპ. ტონაში |
|---|---|
| **I ჯგუფი** | |
| ნათესი მარცვლოვანი ბალახი, პარკოსნები და სამარცვლე პარკოსნები | 32—00 |
| **II ჯგუფი** | |
| თივა მდელოსი მსხვილბალახიანი, მდელოსი წვრილბალახიანი და ველისა მსხვილბალახიანი | 29—60 |
| **III ჯგუფი** | |
| თივა მშრალობ-მდელოსი წვრილბალახიანი და მლაშობ-მდელოსი წვრილბალახიანი | 27—20 |
| **IV ჯგუფი** | |
| თივა ტენიან-მდელოსი მსხვილბალახიანი, ველისა წვრილბალახიანი და მლაშობ-მდელოსი მსხვილბალახინი | 24—00 |

| | მანეთობ და კაპ. ტონაში |
|---|---|
| ს ა კ ვ ე ბ ი ჩ ა ლ ა | 14—40 |

#### ლ უ ფ ა

| | მანეთ. და კაპ. კილოგრამში |
|---|---|
| I ხარისხის | 12—00 |
| II ხარისხის | 9—00 |
| III ხარისხის | 4—00 |
| არასტანდარტული | 2—00 |

შუხ. 17
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტუნგო

| | მანეთობ. და კაპ. კილოგრამში |
|---|---|
| თესლი ნაყოფსაფარისა და გარსისაგან გაწმენდილი, როდესაც ტენიანობა უდრის 45 პროცენტს და დანაგვიანება არ აღემატება 5 პროცენტს | 0—79 |
| ნედლი ნაყოფი 69 პროც. ტენიანობისა და 100 პროცენტი სიწმინდისა | 0—20 |

## კეთილშობილი დაფნა — თესლი

| | |
|---|---|
| კეთილშობილი დაფნა — თესლი | 7—00 |

## ჯონჯოლი (ყვავილი)

| | |
|---|---|
| ჯონჯოლი (ყვავილი) | 0—35 |

## ევკალიპტი

| | მანეთობ. და კაპ. ტონაში |
|---|---|
| ახალმოკრეფილი ფოთლები ტოტებზე დიამეტრით არა უმეტეს 15 მ/მ-სა | 15—00 |
| ახალმოკრეფილი ფოთლები ტოტებზე | 200—00 |

## ბამბუკი (შოლტები)

| | მანეთ. და კაპ. გრძ. მეტრში |
|---|---|
| ბამბუკი (შოლტები) | 0—03 |

## ჩასაბარებელი ფასები ყველისა, თაფლისა, ცვილისა და ცვილის ნედლეულისა

| | მანეთ. და კაპ. კილოგრამში |
|---|---|
| გლეხური გამომუშავების ყველი | 0—80 |
| თაფლი | 1—30 |
| ცვილი: | |
| I ხარისხისა | 5—00 |
| II ხარისხისა | 4—00 |
| III ხარისხისა | 3—50 |
| არასრულფასოვანი | 2 50 |
| ცვილის ნედლეული: | |
| ფიჭა I ხარისხისა | 3—20 |
| ფიჭა II ხარისხისა | 2—20 |
| ფიჭა III ხარისხისა | 1—50 |
| გამონადნობი და ფიჭა უხარისხო: | 1—20 |
| საფუტკრის ფიჭი | 0—60 |
| პროპოლისი | 0—50 |

## ჩასაბარებელი ფასები ცხენისა და ვირისა

| | (მანეთობ. ცოცხალი წონის ტონაში) |
|---|---|
| ცხენი და ვირი მაღალი სიმსუქნისა | 350 |
| ცხენი და ვირი საშუალო სიმსუქნისა | 275 |
| ქვიცი და ჩოჩორი ერთ წლამდე | 375 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

## 18 საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-6 მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს მე-6 მუხლს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 თებერვლის № 111 დადგენილებით, შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ადგილობრივი მეურნეობის კომბინატების დირექტორებს, დირექტორთა მოადგილეებს, ტექნიკურ ხელმძღვანელებს (მთავარ ინჟინრებს) და უფროს ბუღალტრებს დანიშნავენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 10 მარტი, № 128

## 19 საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების განთავისუფლების შესახებ ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და შემკვეთების მიერ საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლებულ იქნან, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები იმისაგან, რომ გადასცენ 1961 წელს ადგილობრივ საბჭოებს საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც მათ ააშენეს თავიანთი მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

2. დაევალოთ შემკვეთებს გადასცენ 1961 წელს საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს ქალაქ ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ზესტაფონში, სტალინირში, რუსთავში, ტყვარჩელ-

ში, ტყიბულში, გაგრასა და გორში მშენებელთა ჩასასახლებლად — საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ აშენებულ სახლებში, გარდა საცხოვრებელი ფართობისა სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების და სახელოსნო სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში, აგრეთვე სახაზო საექსპლუატაციო პერსონალის სახლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჯირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 17 მარტი, № 152

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 283